შრომას საფუძვლად დაედო 0-18 წლის ასაკის 13 D ვიტამინრეზისტენტული (I ჯგუფი) და 68 D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებული პაციენტის (II ჯგუფი) გამოკვლევის შედეგები. საკონტროლო ჯგუფი მოიცავდა იმავე ასაკის 61 ბავშვს. პაციენტები დაიყო 3 ასაკობრივ ჯგუფად: I ჯგუფი: 0-5 წელი (სარძევე თანკბილვა), II ჯგუფი: 6-12 წელი (შერეული თანკბილვა), III ჯგუფი: 12-18 წელი (მუდმივი თანკბილვა). ჯგუფები ერთგვაროვანი იყო სქესისა და ასაკის მიხედვით. D ვიტამინრეზისტენტული დაავადებულ პაციენტთა ჯგუფში - 0-5 წლის ასაკის 4, 6-12 წლის 5 და 13-18 - 4, ხოლო D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებულ პაციენტთა ჯგუფში - მდედრობითი - 40 (59%). 0-5 წლის ასაკის 30, 6-12 წლის 26 და 13-18 - 12, საკონტროლო ჯგუფში - მდედრობითი - 35 (57%). 0-5 წლის ასაკის 20, 6-12 წლის 21 და 13-18 - 20.

ჩატარდა არარანდომიზებული კონტროლირებადი კვლევა.

ჩართვის კრიტერიუმები: გენეტიკურად განპირობებული D ვიტამინრეზისტენტული და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებული პაციენტები, პაციენტთა მშობლების ინფორმირებული თანხმობა კვლევაში ჩართვაზე.

გამორიცხვის კრიტერიუმები: ნივთიერებათა ცვლის სხვა დარღვევები, ძვალ-სახსროვანი სისტემის სხვა ანომალიები, სისტემური დაავადებები, დიაბეტი, აუტოიმუნური დაავადებები.

პაციენტთა გამოკვლევა ჩატარდა ჩვენ მიერ შედგენილი ანკეტის მიხედვით (ცხრილი1).

კვლევის ანკეტა

ფაქტორთა ჯგუფები	ფაქტორები	შეფასება
პაციენტის ასაკი	0-5	კი(1), არა(0)
	6-12	კი(1), არა(0)
	13-16	კი(1), არა(0)
სქესი	მამრობითი	კი(1), არა(0)
	მდედრობითი	კი(1), არა(0)
ორსულობის მიმდინარეობა	ნორმალური	კი(1), არა(0)
	ტოქსიკოზი	კი(1), არა(0)
მშობიარობა	ფიზიოლოგიური	კი(1), არა(0)
	საკეისრო კვეთით	კი(1), არა(0)
ბავშვის ფიზიკური განვითარება	დამაკმაყოფილებელი	კი(1), არა(0)
	არადამაკმაყოფილებელი	კი(1), არა(0)
ტანადობა	ნორმალური	კი(1), არა(0)
	დარღვეული	კი(1), არა(0)
პირის ღრუს კარიბჭე	ღრმა	კი(1), არა(0)
	საშუალო	კი(1), არა(0)
	დაბალი	კი(1), არა(0)
ენის ზომა	ნორმალური	კი(1), არა(0)
	მაკროგლასია	კი(1), არა(0)
ენის ლაგამი	ნორმალური	კი(1), არა(0)
	მოკლე	კი(1), არა(0)
ენის მდებარეობა	ნორმალური	კი(1), არა(0)
	კბილებშუა	კი(1), არა(0)
სასა	ნორმალური	კი(1), არა(0)
	გოთიური თაღი	კი(1), არა(0)
ზედა ყბის კბილთა რკალის ფორმა	ელიფსოიდური	კი(1), არა(0)
	უნაგირისებრი	კი(1), არა(0)
წინა კბილების განლაგება	ნორმალური	კი(1), არა(0)
	მჭიდრო	კი(1), არა(0)

	ტრემები	კი(1), არა(0)
ქვედა ყბის კბილთა რკალის ფორმა	პარაბოლისებური	კი(1), არა(0)
	ტრაპეცია	კი(1), არა(0)
წინა კბილების განლაგება	ნორმალური	კი(1), არა(0)
	მჭიდრო	კი(1), არა(0)
	ტრემები	კი(1), არა(0)
თანკბილვა საგიტალური მიმართულებით	ნეიტრალური	კი(1), არა(0)
	დისტალური	კი(1), არა(0)
	მედიალური	კი(1), არა(0)
ვერტიკალური	ღია	კი(1), არა(0)
	ღრმა	კი(1), არა(0)
ტრანსვერზალური	ირიბი	კი(1), არა(0)
კბილების ფორმისა და ზომის ანომალიები	მაკროდენტია	კი(1), არა(0)
	მიკროდენტია	კი(1), არა(0)
	შერწყმა(სინოდენტია)	კი(1), არა(0)
	გაორება(შიზოდენტია)	კი(1), არა(0)
	ინვაგინაცია	კი(1), არა(0)
რიცხვის ანომალიები	ნაწილობრივი ადენტია	კი(1), არა(0)
	სრული ადენტია	კი(1), არა(0)
	ადენტია	კი(1), არა(0)
დგომის ანომალიები		კი(1), არა(0)
ამოჭრის ვადები	დროული	კი(1), არა(0)
	ადრეული	კი(1), არა(0)
	დაგვიანებული	კი(1), არა(0)
კბილის მაგარი ქსოვილების	ძლიერი ცვეთა	კი(1), არა(0)
დაზიანებები	კბილების(ქსოვილის)განლევა	კი(1), არა(0)
	ეროზია	კი(1), არა(0)
	ჰიპოპლაზია	კი(1), არა(0)
	დენტინის მომატებული მგრძნობელობა	კი(1), არა(0)
	მინანქრის ჰიპერპლაზია	კი(1), არა(0)
	ფლოროზი	კი(1), არა(0)

	ლაქები	კი(1), არა(0)
	ფერის ცვლილება	კი(1), არა(0)
კბილების კარიესული დაზიანება	მინანქრის კარიესი	კი(1), არა(0)
	„ცარცისებური ლაქა“-ს სტადია	კი(1), არა(0)
	დენტინის კარიესი	კი(1), არა(0)
	ცემენტის კარიესი	კი(1), არა(0)
	შეჩერებული კარიესი	კი(1), არა(0)
	ოდონტოკლაზია	კი(1), არა(0)
	ბავშვთა მელანოდენტია	კი(1), არა(0)
	მელანოდონტოკლაზია	კი(1), არა(0)
კბილების სხვა კარიესი		კი(1), არა(0)
კბილების დაუდგენელი კარიესი		კი(1), არა(0)
კარიესის ინტენსივობა	კარიესული კბილების რაოდენობა	რაოდენობრივი მაჩვენებელი
	დაბუენილი კბილების რაოდენობა	რაოდენობრივი მაჩვენებელი
	ამოღებული კბილების რაოდენობა	რაოდენობრივი მაჩვენებელი
კარიესის აქტივობის ხარისხი	კომპენსირებული	კი(1), არა(0)
	სუბკომპენსირებული	კი(1), არა(0)
	დეკომპენსირებული	კი(1), არა(0)
პულპიტი	დაწყებითი	კი(1), არა(0)
	მწვავე	კი(1), არა(0)
	ჩირქოვანი (პულპური აბსცესი)	კი(1), არა(0)
	ქრონიკული	კი(1), არა(0)
	ქრონიკული წყლულოვანი	კი(1), არა(0)
	ქრ.ჰიპერპლასტიკური(პულპ.პოლიპი)	კი(1), არა(0)
	სხვა დადგენილი პულპიტი	კი(1), არა(0)
	დაუდგენელი პულპიტი	კი(1), არა(0)

	პულპის ნეკროზი	კი(1), არა(0)
	პულპის განგრენა	კი(1), არა(0)
	პულპის დეგენერაცია	კი(1), არა(0)
	დენტოკლი	კი(1), არა(0)
	პულპის პეტრიფიკაცია	კი(1), არა(0)
პერიოდონტიტი	მწ.აპიკ.პერიოდონტიტი პულპური წარმოშობის	კი(1), არა(0)
	მწვავე აპიკალური პერიოდონტიტი	კი(1), არა(0)
	ქრონიკული აპიკალური პერიოდონტიტი	კი(1), არა(0)
	აპიკალური გრანულომა	კი(1), არა(0)
	პერიაპიკალური აბსცესი ხვრელარხით	კი(1), არა(0)
	პერიაპიკ.აბსცესი ხვრელარხის გარეშე	კი(1), არა(0)
ფესვის კისტა	აპიკალური და გვერდითი	კი(1), არა(0)
	ნარჩენი	კი(1), არა(0)
	პარადონტალური ანთებითი	კი(1), არა(0)
	ფესვის კისტა დაუზუსტებელი	კი(1), არა(0)
გინგივიტი	კატარული	კი(1), არა(0)
	ჰიპერტროფიული	კი(1), არა(0)
	წყლულოვანი	კი(1), არა(0)
სიმბიძე	მსუბუქი	კი(1), არა(0)
	საშუალო	კი(1), არა(0)
	მძიმე	კი(1), არა(0)
მიმდინარეობა	მწვავე	კი(1), არა(0)
	ქრონიკული	კი(1), არა(0)
	გამწვავებული	კი(1), არა(0)
	რემისია	კი(1), არა(0)
გავრცელება	ლოკალური	კი(1), არა(0)
	გენერალიზებული	კი(1), არა(0)
პაროდონტიტი	მსუბუქი	კი(1), არა(0)
	საშუალო	კი(1), არა(0)
	მძიმე	კი(1), არა(0)

მიმდინარეობა	მწვავე	კი(1), არა(0)
	ქრონიკული	კი(1), არა(0)
	გამწვავებული(მათ შორის აბსცედირება)	კი(1), არა(0)
	რემისია	კი(1), არა(0)
გავრცელება	ლოკალური	კი(1), არა(0)
	გენერალიზებული	კი(1), არა(0)
პაროდონტოზი სიმძიმის მხრივ	მსუბუქი	კი(1), არა(0)
	საშუალო	კი(1), არა(0)
	მძიმე	კი(1), არა(0)
ქვეების და ნადების არსებობა		კი(1), არა(0)
გრინ-ვერმილიონის ჰიგიენური ინდექსი		რაოდენობრივი მაჩვენებელი
PMA ინდექსი		რაოდენობრივი მაჩვენებელი
კბა ინდექსი		რაოდენობრივი მაჩვენებელი

ყველა ფაქტორმა შეიძლება მიიღოს განსაზღვრული მნიშვნელობა (1 ან 0).

გამოკვლევულ იქნა ჰიგიენური ინდექსი და პაროდონტის კომპლექსის ინდექსური მახასიათებლები[94].

პირის ღრუს ჰიგიენური ინდექსური მახასიათებლები შედარდა როგორც საშუალო მნიშვნელობების მიხედვით, ისე მათი სიხშირეების მიხედვით, ფაქტორთა კოდირებით (ცხრილი 2).

ცხრილი 2

პირის ღრუს ჰიგიენური ინდექსების შეფასება

ჰიგიენური ინდექსი [10]	შეფასება	მდგომარეობა	კოდი
	<0,6	კარგი	1
	0,7-1,6	დამაკმაყოფილებელი	2
	1,7-2,5	არადამაკმაყოფილებელი	3
	≥2,6	ცუდი	4
	PI	0,1-1	ჯანმრთელი ღრძილი
	1-2	საწყისი ფორმა	2
	2-3,5	საშუალო	3
	>3,5	მძიმე	4
PMA ინდექსი(%)	<30		1
	30-60		2
	>60		3

გრინ-ვერმილიონის [162] მეთოდის მიხედვით პირის ღრუს ჰიგიენური მდგომარეობა განისაზღვრება შემდეგნაირად: 16, 11, 26, 31, 36, 46 კბილების ვესტიბულური ზედაპირი იღებება შილერ-პისარევის, ფუქსინის ან ერითროზინის საღებავებით. კბილის ნადების შეფასდება ვიზუალურად ან საღებავის დახმარებით. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ცალკე კბილის ნადების და ცალკე კბილის ქვების რაოდენობა.

კბილის ნადების შეფასების კრიტერიუმი და კოდი:

0 – კბილის ნადების არარსებობა;

1 კბილის ნადები ფარავს კბილის ზედაპირის არა უმეტეს 1/3;

2 – კბილის ნადები ფარავს კბილის ზედაპირის 1/3–ზე მეტს და 2/3–ზე ნაკლებს;

3 – კბილის ნადები ფარავს კბილის ზედაპირის 2/3–ზე მეტს;

კბილის ღრძილქვეშა და ღრძილზედა ზედაპირებზე ქვების არსებობა ფასდება სტომატოლოგიური(პაროდონტოლოგიური) ზონდის დახმარებით.

შეფასების კრიტერიუმი და კოდი:

0 – კბილის ქვის არარსებობა;

1 – კბილის ღრძილზედა ზედაპირზე ქვა ფარავს კბილის ზედაპირის არა უმეტეს 1/3;

2 –კბილის ღრძილზედა ზედაპირზე ქვა ფარავს კბილის ზედაპირის 1/3–ზე მეტს და 2/3–ზე ნაკლებს; ან ღრძილქვეშა ზედაპირზე ქვები არსებობს ცალკეული კონგლომერატების სახით;

3 – კბილის ღრძილზედა ზედაპირზე ქვა ფარავს კბილის ზედაპირის 2/3–ზე მეტს, ან ღრძილქვეშა ზედაპირზე ქვები არსებობს კბილის ყელის ირგვლივ.

ჰიგიენური ინდექსის გამოსათვლელი ფორმულა:

$N\bar{3}.საშ = \Sigma_1 / n + \Sigma_2 / n$, სადაც Σ_1 კბილის ნადების რაოდენობაა, Σ_2 - კბილის ქვის რაოდენობაა, n - გამოსაკვლევი ზედაპირების რიცხვი.

$N\bar{3}$ -ის შედეგების მიხედვით ისაზღვრება პირის ღრუს ჰიგიენის დონე:

<0,6 — ქულა _ ჰიგიენის კარგი დონე;

0,7-1,6 — ქულა _ დამაკმაყოფილებელი;

1,7-2,5 — ქულა _ არადამაკმაყოფილებელი;

≥2,6 — ქულა – ცუდი;

პაროდონტული ინდექსი - PI [159] განსაზღვრავს ღრძილის ანთეზას, პაროდონტული ჯიბეების არსებობას ალვეოლური ძვლის საბოლოო რეზორბციით, და კბილის დაკარგვას. ყოველი კბილის მდგომარეობა ფასდება ქულებით 1-დან 8-მდე, ინდექსი გამოითვლება ქულების ჯამის შეფარდებით კბილების რაოდენობასთან. კლინიკურად ჯანმრთელი ღრძილის შემთხვევაში იგი მდებარეობს საზღვრებში 0,1-0,2; გინგივიტის დროს - 0,1-დან 1; მსუბუქი გინგივიტის და დესტრუქციული მოვლენების შემთხვევაში - 0,5-1,9,; განვითარებად და ტერმინალურ სტადიაში - 1,5-5,0.

კვლევის მეთოდები: ანამნეზი, კლინიკური, რენტგენოლოგიური გამოკვლევა, სისხლის და შარდის ბიოქიმიური ანალიზი (ცხრილი3).

ცხრილი 3

ბიოქიმიური მახასიათებლები

Serum Ca mmol/l	კალციუმის კონცენტრაცია სისხლის შრატში
Serum phosphate(mmol/l)	ფოსფატის კონცენტრაცია სისხლის შრატში
Serum alkaline phosphate(U/l)	ტუტე ფოსფატაზის კონცენტრაცია სისხლის შრატში
Serum PTH(ng/ml)	პარატჰორმონის კონცენტრაცია სისხლის შრატში
24hr urine Ca(mmol/l 24h)	Ca კონცენტრაცია შარდში 24 - საათიანი
24 hr urine phosphate(mmol/l 24h)	ფოსფატის კონცენტრაცია შარდში 24 - საათიანი
renal phosphat clearance(ml/min)	ფოსფატის კლირენსი
pospat tubularuli reabsorbcia(ptr)(%)	ფოსფატის ტუბულარული რეაბსორბცია
kreatinine bl(mmol/l)	კრეატინინი სისხლში
kreatinine urine(24)(mmoli/l)	კრეატინინი შარდში
D1 25(nG/ml)	D ვიტამინის ცვლა


სტატისტიკური ანალიზი

ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ვითვლიდით საშუალო სიხშირეს, ჯგუფებს შორის განსხვავებას ვაფასებდით F კრიტერიუმით, ხოლო რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის ვითვლიდით საშუალოს, საშუალო კვადრატულ გადახრას. დისპერსიების ტოლობას ვამოწმებდით ლევენის ტესტით, ჯგუფებს შორის განსხვავებას ვაფასებდით - t სტუდენტის კრიტერიუმით დამოუკიდებელი ამონარჩევისათვის. სტომატოლოგიური დაავადებების განვითარების რისკის შესაფასებლად გამოვიყენეთ ფარდობითი შანსი 95%-იანი სანდოობის ინტერვალით. კორელაციური ანალიზი რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის ჩატარდა პირსონის, ხოლო ხარისხობრივისათვის სპირმენის ანალიზის საშუალებით. მათემატიკური უზრუნველყოფა განხორციელდა პროგრამების პაკეტის SPSS 22 – ის გამოყენებით [160,164,141].

თავი III

3.1. პაციენტთა კლინიკური და ბიოქიმიური მახასიათებლები

დიაგრამა 1-ზე მოცემულია პაციენტთა ასაკობრივი განაწილება D ვიტამინ-დამოკიდებული რაქიტის დროს, D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტის დროს და საკონტროლო ჯგუფში




დიაგრამა 1. პაციენტთა ასაკობრივი განაწილება

როგორც ვხედავთ, D ვიტამინ-დამოკიდებული რაქიტის დროს და კონტროლში ასაკობრივი განაწილება თითქმის ერთნაირია; D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტის დროს ჭარბობს 0–5 წლის პაციენტები.

დიაგრამა 2-ზე მოცემულია ფიზიკური განვითარების ჩამორჩენის მაჩვენებლები რაქიტის დროს და კონტროლში


ფიზიკური განვითარების ჩამორჩენის მაჩვენებლები რაქიტის დროს და საკონტროლო ჯგუფში



დიაგრამა 2. ფიზიკური განვითარების ჩამორჩენის მაჩვენებლები რაქიტის დროს და საკონტროლო ჯგუფში


როგორც ვხედავთ, D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტის დროს პაციენტთა 92%-ს აღენიშნებოდა ჩამორჩენა ფიზიკურ განვითარებაში, ჩამორჩენა დაფიქსირდა D ვიტამინ დამოკიდებული რაქიტის დროსაც - 49%, ხოლო საკონტროლო ჯგუფში უმნიშვნელო იყო.

თანკბილვის მაჩვენებლები რაქიტის დროს და საკონტროლო ჯგუფში



დიაგრამა 3. თანკბილვის მაჩვენებლები რაქიტის დროს და საკონტროლო ჯგუფში


D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტის და D ვიტამინ დამოკიდებული რაქიტის შემთხვევაში, ასევე საკონტროლო ჯგუფში, პრევალირებს ღრმა თანკბილვა.



დიაგრამა 4. კარიესის მაჩვენებლები რაქიტის დროს და საკონტროლო ჯგუფში


D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს ჭარბობს მინანქრის და დენტინის კარიესის სიხშირე; D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს მაღალია მინანქრის კარიესის და დეკომპენსირებული კარიესის სიხშირე, ხოლო საკონტროლო ჯგუფში - მინანქრის და კომპენსირებული კარიესის სიხშირე.

პერიოდონტიტის მაჩვენებლები რაქიტის დროს და კონტროლში




დიაგრამა 5. პერიოდონტიტის მაჩვენებლები რაქიტის დროს და საკონტროლო ჯგუფში

D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტის, D ვიტამინ დამოკიდებული რაქიტის და საკონტროლო ჯგუფის შემთხვევაში მაღალია აპიკალური გრანულომის სიხშირე.




დიაგრამა 6. პულპის დაზიანების მაჩვენებლები რაქიტის დროს და საკონტროლო ჯგუფში

D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტის დროს ჭარბობს პულპური ღრუს გაფართოება, D ვიტამინ დამოკიდებული რაქიტის და კონტროლის შემთხვევაში მაღალია ქრონიკული პულპიტის სიხშირე.



დიაგრამა 7. გინგივიტის მაჩვენებლები რაქიტის დროს და საკონტროლო ჯგუფში

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს ჭარბობს მსუბუქი სიმძიმის კატარული გინგივიტის სიხშირე, D ვიტამინ დამოკიდებული რაქიტის შემთხვევაში მაღალია ქრონიკული მიმდინარეობის გინგივიტის და კონტროლში საშუალო სიმძიმის გინგივიტის სიხშირე.



დიაგრამა 8. პაროდონტიტის მაჩვენებლები რაქიტის დროს და საკონტროლო ჯგუფში

D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტის დროს ჭარბობს ქრონიკული მიმდინარეობის სიხშირე, D ვიტამინ დამოკიდებული რაქიტის შემთხვევაში - მწვავე მიმდინარეობის და ლოკალური გავრცელების სიხშირე, საკონტროლო ჯგუფში ერთნაირი სიხშირით გვხვდება მხოლოდ მსუბუქი სიმძიმის, მწვავე მიმდინარეობის და ლოკალური გავრცელების სიხშირე.

D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტის დროს აღინიშნება კალციუმისა და ფოსფორის ცვლის დარღვევები, რომელებიც კლინიკურად ვლინდება როგორც ძვალსახსროვანი სისტემის განვითარების დარღვევით, ისე კბილების ანომალიებისა და პაროდონტის დაავადებათა სიხშირით.

პაციენტთა ბიოქიმიური მახასიათებლები D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტის დროს და საკონტროლო ჯგუფში მოცემულია ცხრილ 4-ში:

ბიოქიმიური მახასიათებლების საშუალო მნიშვნელობების სტატისტიკური

შეფასება D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს

	D ვიტამინ - რეზისტენტული რაქიტის დროს			Std. Dev.	საკონტროლო ჯგუფში			t	P
	Min.	Max.	Mean		Min.	Max.	Mean		
Serum Ca mmol/l	1.60	2.63	2.24	0.339	2.2	2.7	2.4	-1.72	0.1117
Serum phosphate(mmol/l)	0.24	2.40	1.11	0.693	1.05	1.8	1.35	-1.27	0.2283
Serum alkaline phosphate(U/l)	232.0 0	2322.0 0	1051.4 6	682.513	55	380	300	3.97	0.0019
Serum PTH(ng/ml)	40.30	97.00	62.31	17.939	16	62	39	7.10	0.0000
24hr urine Ca(mmol/l 24h)	0.10	2.50	0.86	0.610	2.5	7.5	5	-24.47	0.0000
24 hr urine phosphate(mmol/l 24h)	8.20	36.00	17.15	6.747	15	35	25	-4.20	0.0012
renal phosphat clearanse(ml/min)	7.21	26.20	16.70	6.925	<10		10	3.49	0.0045
pospat tubularuli reabsorbcion(ptr)(%)	9.00	70.00	27.85	19.995	<55		55	-4.90	0.0004
kreatinine bl(mmol/l)	24.70	43.00	29.21	5.624	35.36	53.04	44	-9.480	0.0000
kreatinine urine(24)(mmoli/l)	192.0 0	2728.0 0	880.5	860.97 4	300.5 6	2024.36	1162 .4	1.179	0.2612
D1 25(nG/ml)	7.50	52.00	25.58	11.215	35.36	53.04	45	-6.24	0.0000

D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტის დროს პაციენტებში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით მომატებულია Serum alkaline phosphate(U/l), Serum PTH(ng/ml), renal phosphate clearance(ml/min) და შემცირებულია 24hr urine Ca(mmol/l 24h), 24 hr urine phosphate(mmol/l 24h), renal phosphate reabsorption(ptr)(%), kreatinine bl(mmol/l), D125(pG/ml) საშუალო მნიშვნელობა.

3.2. თანკბილვის და კბილების განვითარების ანომალიები D ვიტამინ-რეზისტენტული და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს ბავშვებში

როგორც ჩვენმა კვლევამ აჩვენა, D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს ბავშვებში აღინიშნება თანკბილვის და კბილების განვითარების ანომალიების მაღალი სიხშირე, რომელიც კორელაციაშია ბიოქიმიური მაჩვენებლების ნორმიდან გადახრასთან, რაც საფუძველს გვაძლევს, შევადაროთ იგი განვითარების ანომალიების სიხშირეს D ვიტამინდამოკიდებული რაქიტისა და საკონტროლო ჯგუფებში.

ცხრილი 5

თანკბილვისა და კბილების განვითარების ანომალიების ნიშან-ფაქტორთა სტატისტიკური შეფასება D ვიტამინრეზისტენტული და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს

		D ვიტამინ - დამოკიდებული რაქიტი			D ვიტამინ - რეზისტენტული რაქიტი			საკონტროლო ჯგუფი			D ვიტამინ დამოკიდებული- D ვიტამინ - რეზისტენტული რაქიტი		D-ვიტამინ რეზისტენტული რაქიტი საკონტროლო ჯგუფი	
		abs	mean	std	abs	mean	Std	abs	mean	Std	F	P	F	P
ზავშვის ფიზიკური განვითარება	არადამაკმაყოფილებელი	33	0.49	0.503	12	0.92	0.277	2	0.03	0.180	9.23	0.0032	214.	0.0000
პირის ღრუს კარიბჭე	დაბალი	8	0.12	0.325	6	0.46	0.519	8	0.13	0.340	9.91	0.0023	8.27	0.0053
ზედა ყბის კბილთა რკალის ფორმა	უნაგირი სებრი	14	0.21	0.407	6	0.46	0.519	8	0.13	0.340	3.93	0.0510	8.27	0.0053
ზედა ყბის წინა კბილების განლაგება	მჭიდრო	16	0.24	0.427	7	0.54	0.519	16	0.26	0.444	5.12	0.0263	3.91	0.0517
ქვედა ყბის ფორმა	ტრაპეციას	12	0.18	0.384	7	0.54	0.519	11	0.18	0.388	8.62	0.0044	8.08	0.0058
ქვედა ყბის წინა კბილების განლაგება	მჭიდრო	14	0.21	0.407	7	0.54	0.519	10	0.16	0.373	6.65	0.0118	9.34	0.0031
	ტრემები	1	0.01	0.121	4	0.31	0.480	4	0.07	0.250	19.71	0.0000	6.95	0.0103
თანკბი	დისტალური	5	0.07	0.263	4	0.31	0.480	4	0.07	0.250	6.39	0.0135	6.95	0.0103

ლვა	ღია	10	0.15	0.373	4	0.31	0.480	5	0.08	0.263	1.43	0.2353	6.39	0.0135
	ღრმა	10	0.15	0.373	5	0.38	0.506	5	0.08	0.263	3.29	0.0741	10.82	0.0015
კბილგის ფორმის ანომალიები	მიკროდენტია	0	0.00	0.000	2	0.15	0.376	0	0.00	0.000	-	-	-	-
რიცხვის ანომალიები	ნაწილობრივი ადენტია	1	0.01	0.121	7	0.54	0.519	2	0.03	0.180	56.10	0.0000	38.20	0.0000
	დგომის ანომალიები	1	0.01	0.121	4	0.31	0.480	0	0.00	0.000	19.71	0.0000	-	-
ამოჭრის ვადები	დაგვიანებული	26	0.38	0.490	9	0.69	0.480	17	0.28	0.452	4.40	0.0392	8.78	0.0041
კბილის მაგარი ქსოვილების დაზიანება	კბილები ს(ქსოვილის)განლევა	0	0.00	0.000	2	0.15	0.376	0	0.00	0.000	-	-	-	-
	მინანქრის ჰიპოპლაზია	8	0.13	0.340	9	0.69	0.480	5	0.07	0.263	25.00	0.0000	44.60	0.0000

D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტით დაავადებულ ბავშვებში D ვიტამინ - დამოკიდებული რაქიტით დაავადებულ ბავშვებთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით სარწმუნოდ მეტია ბავშვის არადამაკმაყოფილებელი ფიზიკური განვითარება, პირის ღრუს დაბალი კარიბჭე, ზედა ყბის კბილთა უნაგირისებრი რკალის ფორმა, ზედა ყბის წინა კბილების მჭიდრო განლაგება, ქვედა ყბის ტრაპეციისმაგვარი ფორმა, ქვედა ყბის წინა კბილების მჭიდრო განლაგება, დისტალური თანკბილვა, ნაწილობრივი ადენტია, კბილების დაგვიანებული ამოჭრა, მინანქრის ჰიპოპლაზია.

D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტით დაავადებულ პაციენტებში, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, სარწმუნოდ მეტია ღია და ღრმა თანკბილვა, ხოლო D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტით დაავადებულ ბავშვებსა და D ვიტამინ - დამოკიდებული რაქიტით დაავადებულ ბავშვებს შორის ამ მონაცემების მიხედვით სარწმუნო განსხვავება არ აღინიშნა.

მხოლოდ D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულებს აღნიშნათ: მიკროდენტია და კბილის მაგარი ქსოვილების განლევა.

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ ბავშვებში D ვიტამინ-დამოკიდებული რაქიტით დაავადებულ პაციენტებთან შედარებით, მაღალი სიხშირით გამოიჩენა დგომის ანომალიები, საკონტროლო ჯგუფში ეს ფაქტორი არ აღმოჩნდა.

თანკბილვის და ყბა- კბილთა ანომალიების განვითარების ფარდობითი შანსი D ვიტამინრეზისტენტული და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებულ ბავშვებში

		D ვიტამინ - რეზისტენტული რაქიტი - საკონტროლო ჯგუფი			D ვიტამინ- რეზისტენტული რაქიტი-D ვიტამინ- დამოკიდებული რაქიტი		
		R	95%CI		R	95%CI	
ბავშვის ფიზიკური განვითარება	არადამაკმ აყოფილებ ელი	354	29.66	735.59	12.73	1.57	115.2 5
პირის ღრუს კარიბჭე	დაბალი	5.68	1.52	36.22	6.43	1.72	41.08
ზედა ყბის კბილთა რკალის ფორმა	უნაგირისე ბრი	5.68	1.52	36.22	3.31	0.96	38.79
ზედა ყბის წინა კბილების განლაგება	მჭიდრო	3.28	0.96	38.24	3.79	1.11	44.32
ქვედა ყბის ფორმა	ტრაპეცია	5.30	1.49	40.68	5.44	1.55	45.75
ქვედა ყბის წინა კბილების განლაგება	მჭიდრო	5.95	1.65	41.63	4.50	1.30	44.80
	ტრემები	6.33	1.34	27.51	29.78	2.99	61.30
თანკბილვა	დისტალუ რი	6.33	1.34	27.51	5.60	1.26	29.38
	ლია	4.98	1.12	26.08	2.58	0.66	29.25

	ღრმა	7.00	1.65	33.18	3.63	0.98	33.57
რიცხვის ანომალიები	ნაწილობრივი ადენტი	34.42	5.79	90.67	78.17	8.19	162.6 2
	დგომის ანომალიები				29.78	2.99	61.30
ამოჭრის ვადები	დაგვიანებული	5.82	1.58	53.26	3.63	1.02	56.40
	მინანქრის ჰიპოპლაზია	25.20	5.67	92.16	16.88	4.20	81.12

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი ბავშვებში D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით ზრდის არადამაკმაყოფილებელი ფიზიკური განვითარების, პირის ღრუს დაბალი კარიბჭის, ზედა ყბის კბილთა უნაგირისებური რკალის ფორმის, ზედა ყბის წინა კბილების მჭიდრო განლაგების, ქვედა ყბის ტრაპეციისმაგვარი ფორმის, ქვედა ყბის წინა კბილების მჭიდრო განლაგების, ნაწილობრივი ადენტის, კბილების დაგვიანებული ამოჭრის, მინანქრის ჰიპოპლაზიის ფარდობით შანსს.

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ ბავშვებში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით სარწმუნოდ მეტია ღია, დისტალური და ღრმა თანკბილვის ჩამოყალიბების ფარდობითი შანსი.

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი დაავადებულ ბავშვებში, D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან შედარებით, სარწმუნოდ ზრდის კბილის დგომის ანომალიების განვითარების ფარდობით შანსს.

3.3. კბილის კარიესული დაზიანებები D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს

D ვიტამინის დეფიციტი ხელს უშლის ორგანიზმში კალციუმისა და ფოსფორის სრულფასოვან ცვლას [62,63]. კალციუმისა და ფოსფორის ცვლის დარღვევა კი ხელს უწყობს მრავლობითი კარიესის და სხვა სტომატოლოგიური პრობლემების განვითარებას [1,2,3,7]. პაციენტებს D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით აღენიშნებათ ფოსფორის დაბალი შემცველობა, პარათირეოიდული ჰორმონის ნორმალური დონე, კალციუმის დონე სისხლში ნორმაშია ან ნორმაზე დაბალი. სტომატოლოგიური კუთხით გვხვდება: მინანქრის ჰიპოპლაზია, სტომატოლოგიური აბსცესი და გინგივიტი, კარიესი და კბილების დაგვიანებული ამოსვლა[6]. სამივე ჯგუფში შევისწავლეთ კბილების კარიესული დაზიანების სიხშირე, კარიესის აქტივობის ხარისხი, კარიესული კბილების დაზიანება, კბა ინდექსი(კარიესი+ბჟენი+ამოღებული კბილების რაოდენობა).

კარიესის მახასიათებელთა სიხშირეები D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის, D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის და საკონტროლო ჯგუფებში მოცემულია ცხრილ N 7-ში .


კარიესის მახასიათებლების სიხშირეები D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის, D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის და საკონტროლო ჯგუფებში

	D ვიტამინ - რეზისტენტული რაქიტი			D ვიტამინ- დამოკიდებული რაქიტი			საკონტროლო ჯგუფი		
	a b s	Mean	Std. Dev.	a b s	Mean	Std. Dev.	a b s	Mean	Std. Dev.
„ცარცისებური ლაქა“- ს სტადია	1	0.08	0.277	1 1	0.16	0.371	1 3	0.21	0.413
მინანქრის კარიესი	1 3	0.38	0.506	3 1	0.46	0.679	2 6	0.43	0.499
დენტინის კარიესი	1 0	0.77	0.439	3 2	0.47	0.503	1 1	0.18	0.388
ცემენტის კარიესი	3	0.23	0.439	0	0.00	0.000	2	0.03	0.180
შეჩერებული კარიესი	0	0.00	0.000	1	0.01	0.121	3	0.05	0.218
სარძევე კბილების კარიესი	8	0.62	0.506	1 5	0.22	0.418	8	0.13	0.340
მუდმივი კბილების კარიესი	7	0.54	0.519	2 9	0.43	0.498	2 0	0.33	0.473
კარიესული კბილების რაოდენობა	5 9	4.54	3.072	1 7 7	2.60	3.018	3 8	0.62	0.840
დაბჟენილი კბილების რაოდენობა	1 8	1.38	1.758	2 4	0.35	0.641	1 8	0.30	0.558
ამოღებული კბილების რაოდენობა	3 1	2.38	1.850	3 0	0.44	1.028	2 1	0.34	0.629
კომპენსირებული	3	0.23	0.439	1 4	0.21	0.407	2 5	0.41	0.496
სუბკომპენსირებული	2	0.15	0.376	1 3	0.19	0.396	1 0	0.16	0.373
დეკომპენსირებული	8	0.62	0.506	1 6	0.24	0.427	1 2	0.20	0.401
კბა ინდექსი	1 0 8	8.31	6.019	2 3 1	3.40	3.730	7 7	1.26	1.413

დენტინის კარიესის სიხშირე სარწმუნოდ მეტია D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს, D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, და ასევე მეტია D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტის დროს საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

ცემენტის კარიესის სიხშირე D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს სარწმუნოდ მეტია საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, ხოლო დამოკიდებული რაქიტის დროს ცემენტის კარიესი არ დაფიქსირდა.

სარძევე კბილების კარიესის სიხშირე სარწმუნოდ მეტია D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს, D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, ხოლო D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს სარწმუნოდ არ განსხვავდება საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. რაც შეეხება მუდმივი კბილების კარიესს, მისი სიხშირე არასარწმუნოდ მეტია D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს.



დიაგრამა 9

დეკომპენსირებული კარიესის სიხშირე სარწმუნოდ მეტია D ვიტამინ-რეზისტენტული რაქიტის დროს, D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, და ასევე მეტია D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

ცხრილი 8

კარიესის მახასიათებლების სტატისტიკური შეფასება D ვიტამინ - რეზისტენტული რაქიტის, D ვიტამინ დამოკიდებული რაქიტის და საკონტროლო ჯგუფებში

	D ვიტამინ - დამოკიდებული - D ვიტამინ რეზისტენტული		D ვიტამინ - რეზისტენტული- საკონტროლო ჯგუფი		D ვიტამინ დამოკიდებული- საკონტროლო ჯგუფი	
	F	P	F	P	F	P
„ცარცისებური ლაქა“-ს სტადია	0.61	0.4364	1.28	0.2611	0.55	0.4582
მინანქრის კარიესი	0.13	0.7204	0.07	0.7860	0.08	0.7799
დენტინის კარიესი	3.99	0.0491	23.63	0.0000	13.25	0.0004
ცემენტის კარიესი	19.90	0.0000	7.13	0.0094	2.27	0.1344
შეჩერებული კარიესი	0.19	0.6647	0.65	0.4213	1.26	0.2629
სარბევე კბილების კარიესი	9.10	0.0034	18.04	0.0001	1.75	0.1880
მუდმივი კბილების კარიესი	0.54	0.4628	2.05	0.1563	1.32	0.2527
კომპენსირებული	0.04	0.8424	1.45	0.2325	6.57	0.0116
სუბკომპენსირებულ ო	0.10	0.7546	0.01	0.9298	0.16	0.6893
დეკომპენსირებული	8.13	0.0055	10.64	0.0017	0.28	0.5991

კარიესული კბილების და კბა ინდექსის საშუალო რაოდენობა სარწმუნოდ მეტია D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს, D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, და ასევე მეტია D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტის დროს, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

დაბჟენილი კბილების საშუალო რაოდენობა და ამოღებული კბილების საშუალო რაოდენობა სარწმუნოდ მეტია D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტის დროს D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, ხოლო D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტის დროს სარწმუნოდ არ განსხვავდება საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

ცხრილი 9

კარიესული კბილების და კბა ინდექსის სტატისტიკური შეფასება D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის, D ვიტამინდამოკიდებული რაქიტისა და საკონტროლო ჯგუფებში

	D ვიტამინ - დამოკიდებული - D ვიტამინ - რეზისტენტული		D ვიტამინ - რეზისტენტული - საკონტროლო ჯგუფი		D ვიტამინ - დამოკიდებული - საკონტროლო ჯგუფი	
	t	P	t	P	T	P
კარიესული კბილების რაოდენობა	-2.113	0.038	8.720	0.000	4.953	0.000
დაბჟენილი კბილების რაოდენობა	-3.769	0.000	4.053	0.000	0.548	0.585
ამოღებული კბილების რაოდენობა	-5.396	0.000	7.038	0.000	0.653	0.515
კბა ინდექსი	-3.900	0.000	8.310	0.000	4.206	0.000

კარიესის განვითარების და კბილების დაკარგვის ფარდობითი შანსის შეფასება რაქიტის დროს

	D ვიტამინ რეზისტენტული– საკონტროლო ჯგუფი			D ვიტამინ დამოკიდებული– საკონტროლო ჯგუფი			D ვიტამინ რეზისტენტული– D ვიტამინ დამოკიდებული		
	OR	95%CI		OR	95%CI		OR	95%CI	
კარიესი	17.28	2.11	114.44	1.72	0.85	11.64	10.05	1.24	105.39
კბილების დაკარგვა	9.38	2.29	68.88	0.80	0.35	6.36	11.78	2.87	81.69

კარიესის განვითარების და კბილების დაკარგვის ფარდობითი შანსი D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს სარწმუნოდ მაღალია, ვიდრე D ვიტამინ-დამოკიდებული რაქიტის მქონე პაციენტებში და საკონტროლო ჯგუფში, ხოლო D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს კარიესის განვითარებისა და კბილების დაკარგვის ფარდობითი შანსი საკონტროლო ჯგუფთან შედარებით არასარწმუნოდაა მომატებული.

ამრიგად, D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს სარწმუნოდ მაღალია კარიესის მძიმე ფორმების სიხშირე, კბა ინდექსი და კარიესის განვითარების და კბილების დაკარგვის ფარდობითი შანსი როგორც D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან, ისე საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

3.4. პაროდონტის დაავადებები D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს მაღალია პაროდონტის დაავადებათა სიხშირე, ამიტომ საკმაოდ აქტუალურია ამ დაავადებათა განვითარების რისკის დადგენა.

პირველ ეტაპზე შესწავლილ იქნა: პაროდონტის დაავადებების სიხშირეები ძირითად ჯგუფებსა და საკონტროლო ჯგუფში, მათი გავრცელება, სიმძიმე, მიმდინარეობა.

პაროდონტის ანთებითი დაავადებების სიხშირეები და მათი მიმდინარეობა, სიმძიმე, გავრცელება D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის, D ვიტამინ-დამოკიდებული რაქიტის და საკონტროლო ჯგუფებში მოცემულია N11 ცხრილში.

ცხრილი 11

პაროდონტის ანთებითი დაავადებები D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტის, D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის და საკონტროლო ჯგუფებში

		D ვიტამინ - რეზისტენტული რაქიტი			D ვიტამინ - დამოკიდებული რაქიტი			საკონტროლო ჯგუფი		
		Abs.	Mean	Std. Dev	Abs.	Mean	Std. De.	Abs.	Mean	Std. Dev
ანგნაგეზ	კატარული	6	0.46	0.519	5	0.07	0.263	4	0.07	0.250
	ჰიპერტროფიული	2	0.15	0.376	6	0.09	0.286	8	0.13	0.340
	წყლულოვანი	1	0.08	0.277	0	0.00	0.000	0	0.00	0.000
	მსუბუქი	6	0.46	0.519	3	0.04	0.207	2	0.03	0.180
	საშუალო	3	0.23	0.439	8	0.12	0.325	10	0.16	0.373
	მძიმე	0	0.00	0.000	0	0.00	0.000	0	0.00	0.000
	მწვავე	2	0.15	0.376	0	0.00	0.000	0	0.00	0.000
	ქრონიკული	5	0.38	0.506	10	0.15	0.357	9	0.15	0.358

	გამწვავებული	2	0.15	0.376	1	0.01	0.121	3	0.05	0.218
	ლოკალური	5	0.38	0.506	4	0.06	0.237	8	0.13	0.340
	გენერალიზებული	4	0.31	0.480	7	0.10	0.306	4	0.07	0.250
ინციდენტადან	მსუბუქი	2	0.15	0.376	1	0.01	0.121	1	0.02	0.128
	საშუალო	0	0.00	0.000	0	0.00	0.000	0	0.00	0.000
	მძიმე	0	0.00	0.000	0	0.00	0.000	0	0.00	0.000
	მწვავე	0	0.00	0.000	2	0.03	0.170	1	0.02	0.128
	ქრონიკული	3	0.23	0.439	0	0.00	0.000	0	0.00	0.000
	გამწვავებული	0	0.00	0.000	0	0.00	0.000	0	0.00	0.000
	ლოკალური	2	0.15	0.376	2	0.03	0.170	1	0.02	0.128
	გენერალიზებული	2	0.15	0.376	0	0.00	0.000	0	0.00	0.000
ინციდენტადან	მსუბუქი	0	0.00	0.000	0	0.00	0.000	0	0.00	0.000
	საშუალო	1	0.08	0.277	0	0.00	0.000	0	0.00	0.000
	მძიმე	0	0.00	0.000	1	0.01	0.121	0	0.00	0.000

ცხრილი 12

პაროდონტის ანთებითი დაავადებების სტატისტიკური შეფასება D ვიტამინ-რეზისტენტული რაქიტის, D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის და საკონტროლო ჯგუფებში

		D ვიტამინ - რეზისტენტული - საკონტროლო ჯგუფი		D ვიტამინ - რეზისტენტული - D ვიტამინ დამოკიდებული		D ვიტამინ - დამოკიდებული - საკონტროლო ჯგუფი	
		F	p	F	P	F	P
გინგივიტი	კატარული	17.36	0.0001	16.51	0.0001	0.03	0.860
	ჰიპერტროფული	0.05	0.8308	0.52	0.4738	0.61	0.438

	მსუბუქი	27.46	0.0000	24.63	0.0000	0.11	0.7416
	საშუალო	0.32	0.5715	1.18	0.2811	0.57	0.4527
	მწვავე	10.79	0.0016	12.06	0.0008	-	-
	ქრონიკული	4.03	0.0483	4.19	0.0439	0.00	0.9939
	გამწვავებუ ლი	1.86	0.1769	6.23	0.0146	1.267	0.2629
	ლოკალური	4.94	0.0293	13.38	0.0005	1.99	0.1604
	გენერალიზე ბული	6.95	0.0103	3.99	0.0491	0.57	0.4520
პაროდონტ იტი	მსუბუქი	5.45	0.0224	6.23	0.0146	0.01	0.9389
	მწვავე	0.21	0.6475	0.38	0.5371	0.24	0.6275
	ქრონიკული	17.81	0.0001	19.90	0.0000	-	-
	რემისია	4.95	0.0293	5.53	0.0212	-	-
	ლოკალური	5.45	0.0224	3.67	0.0589	0.24	0.6275
	გენერალიზე ბული	10.79	0.0016	12.06	0.0008	-	-
პაროდონტ ოზი	საშუალო	4.95	0.0293	5.53	0.0212	-	-
	მძიმე	-	-	0.19	0.6647	0.90	0.3456

სამივე ჯგუფში დაფიქსირდა მსუბუქი და საშუალო სიმძიმის გინგივიტები, მათგან მწვავე მიმდინარეობა მხოლოდ D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის ჯგუფში, ამ ჯგუფში, D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან შედარებით, სარწმუნოდ მეტი იყო ქრონიკული, ლოკალური და გენერალიზებული გინგივიტის სიხშირე როგორც D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან, ისე საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.


გინგივიტის კატარული ფორმა სარწმუნოდ მაღალი იყო D ვიტამინ-რეზისტენტული რაქიტის ჯგუფში D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

ასევე სამივე ჯგუფში დაფიქსირდა ქრონიკული მიმდინარეობის მსუბუქი ფორმის პაროდონტიტი რომლის სიხშირე სარწმუნოდ მაღალი იყო D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტის ჯგუფში, D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

პაროდონტოზის საშუალო და მძიმე ფორმების ერთეული შემთხვევა გამოვლინდა, შესაბამისად, D ვიტამინრეზისტენტული და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის ჯგუფში.

საკონტროლო ჯგუფში არ გამოვლინდა გინგივიტის მწვავე ფორმა, პაროდონტიტის საშუალო და მძიმე ფორმა და პაროდონტოზი.

D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტსა და საკონტროლო ჯგუფს შორის სარწმუნო განსხვავება არ დაფიქსირდა.



დიაგრამა 10

PMA ინდექსის საშუალო მნიშვნელობა ბავშვებში D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს სარწმუნოდ მეტია, ვიდრე D ვიტამინ დამოკიდებული რაქიტის დროს და საკონტროლო ჯგუფში, შესაბამისად, 29.15 ± 25.119 , 8.10 ± 619.993 და 7.57 ± 18.031 , ($t= 2.854$, $p=0.0120$ და $t=2.97$, $p=0.0070$), ხოლო საკონტროლო ჯგუფსა და D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტს შორის სარწმუნო სხვაობა არ დაფიქსირდა.

ამრიგად, D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს იმატებს პაროდონტის ანთებითი დაავადებების სიხშირე D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით; საკონტროლო ჯგუფსა და D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტს შორის სარწმუნო სხვაობა არ ვლინდება.

3.5. პერიოდონტის დაავადებები D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს ბავშვებში

რაქიტისა და რაქიტისმაგვარი დაავადებების დროს მნიშვნელოვნად ზიანდება პერიოდონტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია პერიაპიკალური ხვრელარხების არსებობა.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა პერიოდონტის მდგომარეობა როგორც D ვიტამინრეზისტენტული, ისე D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს და საკონტროლო ჯგუფში (ცხრილი 13).

პერიოდონტის მახასიათებლების განაწილება D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის, D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს და საკონტროლო ჯგუფში

	D ვიტამინ - დამოკიდებულ			D ვიტამინ - რეზისტენტულ			D ვიტამინ - დამოკიდებულ - D ვიტამინ-რეზისტენტული		საკონტროლო ჯგუფი			D ვიტამინ-რეზისტენტული-საკონტროლო ჯგუფი	
	Abs	Mean	Std. Dev.	Abs	Mean	Std. Dev.	F	p	Abs	Mean	Std. Dev.	F	P
მწ.აპიკ.პერიოდონტიტი	1	0.01	0.121	3	0.23	0.439	12.22	0.0008	2	0.03	0.180	7.13	0.0094
ქრონიკული აპიკალური პერიოდონტიტი	2	0.03	0.170	3	0.23	0.439	8.23	0.0053	0	0.00	0.000	-	-
აპიკალური გრანულომა	8	0.12	0.325	6	0.46	0.519	9.91	0.0023	10	0.16	0.373	5.90	0.0177
პერიაპიკალური აბსცესი ხვრელარხით	4	0.06	0.237	4	0.31	0.480	8.17	0.0054	6	0.10	0.300	4.13	0.0457
პერიაპიკალური აბსცესი ხვრელარხის გარეშე	2	0.03	0.170	4	0.31	0.480	14.17	0.0003	4	0.07	0.250	6.95	0.0103
ფესვის კისტა	1	0.01	0.121	4	0.31	0.480	19.71	0.0000	0	0.00	0.000	-	-

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს, D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, სარწმუნოდ მეტია: მწვავე აპიკალური პერიოდონტიტის, პერიაპიკალური აბსცესის - ხვრელარხით და ხვრელარხის გარეშე, აპიკალური გრანულომას სიხშირეები. D ვიტამინ-რეზისტენტული რაქიტის დროს, D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან შედარებით,

სარწმუნოდ მეტია ქრონიკული აპიკალური პერიოდონტიტის და ფესვის კისტის სიხშირეები.საკონტროლო ჯგუფში ეს ფაქტორები არ დაფიქსირდა.

3.6. პაციენტთა ბიოქიმიური მახასიათებლების კორელაციები თანკბილვის ანომალიებთან, კბილებისა და პაროდონტის დაავადებებთან D ვიტამინ-რეზისტენტული რაქიტის დროს

კვლევის შემდეგ ეტაპზე ბიოქიმიურ მაჩვენებლებსა და სტომატოლოგიურ მახასიათებლებს შორის ურთიერთკავშირის დასადგენად ჩავატარეთ კორელაციური ანალიზი. ცხრილ N14-ში მოცემულია კავშირი სტომატოლოგიურ ინდექსებსა და ბიოქიმიურ მაჩვენებლებს შორის D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ პაციენტებში.

ცხრილი14

ბიოქიმიური მაჩვენებლებისა და სტომატოლოგიური ინდექსების კორელაციური მატრიცა

	n	გრინ-ვერმილონის ჰიგიენური ინდექსი	PMA ინდექსი(%)	კბა ინდექსი
Serum Ca mmol/l	r	-0.3670	0.1021	-0.0263
	p	0.2173	0.7398	0.9321
Serum phosphate(mmol/l)	r	0.1511	-0.1487	0.0061
	p	0.6222	0.6279	0.9842
Serum alkaline phosphate(U/l)	r	-0.5111	0.2299	-0.0114
	p	0.0743	0.4499	0.9705
Serum PTH(ng/ml)	r	-0.1168	-0.0107	-0.0191
	p	0.7040	0.9723	0.9507
24hr urine Ca(mmol/l 24h)	r	0.1507	0.4733	0.3320
	p	0.6232	0.1023	0.2677
24 hr urine phosphate(mmol/l 24h)	r	-0.5230	0.3051	0.4734
	p	0.0666	0.3107	0.1023
renal phosphat clearanse(ml/min)	r	0.5067	-0.2438	-0.3588
	p	0.0772	0.4221	0.2287
pospat tubularuli reabsorbcia(ptr)(%)	r	-0.4039	0.843**	0.579*
	p	0.1711	0.0003	0.0380
kreatinine bl(mmol/l)	r	0.1460	-0.0599	-0.1377
	p	0.6342	0.8458	0.6537
kreatinine urine(24)(mmoli/l)	r	-0.1345	0.0831	0.3666
	p	0.6614	0.7872	0.2179
D1 25(nG/ml)	r	0.0496	-0.0834	-0.3818
	p	0.8722	0.7866	0.1980
გრინ-ვერმილონის ჰიგიენური ინდექსი	r	1.0000	-0.3191	-0.4782
	p		0.2879	0.0984
PMA ინდექსი(%)	r		1.0000	.753**
	p			0.0030

რაოდენობრივი მაჩვენებლების - KPU ინდექსის და PMA ინდექსის კორელაციურმა ანალიზმა საშუალო ბიოქიმიურ მაჩვენებლებთან გვიჩვენა, რომ postpat tubularuli reabsorbion(ptr)(%) სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს KPU ინდექსთან - $r=0.57$ და $p= 0.0380$, PMA ინდექსთან - $r=0.84$, $p=0.0003$.

კავშირი სტომატოლოგიურ ინდექსებს, ბიოქიმიურ მაჩვენებლებს, სსსისა და კბილების ანომალიებს შორის D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ პაციენტებში მოცემულია N15 ცხრილში.

ცხრილი 15

კორელაციები სტომატოლოგიურ ინდექსებსა და ბიოქიმიურ მაჩვენებლებს, სსსისა და კბილების ანომალიებს შორის D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ პაციენტებში

		ნაწილობრივი ადენტია	ჰიპოპლაზია	თანკბილვის ანომალიები	პულპის ღრუს გაფართოვე ბა	გოთიური თაღი
Serum Ca mmol/l>	r	0.41	-0.16	0.18	-0.41	-0.16
	p	0.1588	0.6059	0.5463	0.1588	0.6059
Serum phospate(mmol/l) <	r	-0.10	-0.18	0.16	-0.22	-0.53
	p	0.7511	0.5463	0.6059	0.4710	0.0642
Serum phospate(mmol/l) >	r	-0.46	0.28	-0.18	0.03	0.28
	p	0.1132	0.3466	0.5614	0.9150	0.3466
Serum alkaline phosphate(U/l)>	r	-0.27	-0.19	-0.19	0.27	0.43
	p	0.3774	0.5288	0.5288	0.3774	0.1394
Serum PTH(ng/ml)>	r	-0.05	0.08	-0.28	0.39	0.08
	p	0.8675	0.7867	0.3582	0.1930	0.7867
24hr urine	r	-0.27	-0.19	-0.19	-0.31	-0.19

Ca(mmol/l 24h)<	p	0.3774	0.5288	0.5288	0.2997	0.5288
24 hr urine	r	0.10	0.18	-0.16	-0.41	0.18
phosphate(mmol/l 24h)<	p	0.7511	0.5463	0.6059	0.1588	0.5463
renal phospat	r	-0.03	0.28	0.28	-0.39	-0.18
clearanse(ml/min)<	p	0.9150	0.3466	0.3466	0.1819	0.5614
renal phospat	r	0.23	0.03	0.03	0.51	0.03
clearanse(ml/min)>	p	0.4591	0.9214	0.9214	0.0769	0.9214
pospat tubularuli	r	0.31	0.43	0.43	-0.31	0.43
reabsorbcia(ptr)(%)	p	0.2997	0.1394	0.1394	0.2997	0.1394
kreatinine	r	-0.14	0.03	0.03	0.14	0.03
bl(mmol/l)<	p	0.6462	0.9214	0.9214	0.6462	0.9214
kreatinine	r	-.592*	-0.03	-0.03	-0.14	-0.03
urine(24)(mmoli/l) <	p	0.0332	0.9214	0.9214	0.6462	0.9214
kreatinine	r	0.27	0.19	0.19	0.31	0.19
urine(24)(mmoli/l) >	p	0.3774	0.5288	0.5288	0.2997	0.5288
1,25(OH)2D3	r	.617*	0.44	0.44	0.05	0.08
(nG/ml)	p	0.0246	0.1281	0.1281	0.8675	0.7867

ცხრილი 15 (გაგრძელება)

		ზედა ყბის კბილთა რკალის ელიფსო- იდური ფორმა	ზედა ყბის კბილთა რკალის უნაგირი სებრი ფორმა	ზედა ყბის წინა კბილე- ბის მჭიდრო განლაგე ბა	ზედა ყბის პარაბო ლისე- ბური ფორმა	ქვედა ყბის ტრაპეციი- სებური ფორმა	ქვედა ყბის წინა კბილების მჭიდრო განლაგება
Serum Ca mmol/l>	r	0.41	-0.41	0.10	0.03	0.10	0.10
	p	0.1588	0.1588	0.7511	0.9354	0.7511	0.7511
Serum phospate(mmol/l)<	r	0.22	-0.22	0.22	-0.03	-0.10	-0.10
	p	0.4710	0.4710	0.4710	0.9354	0.7511	0.7511
Serum phospate(mmol/l)>	r	-0.03	0.03	-0.46	-0.34	0.39	-0.03
	p	0.9150	0.9150	0.1132	0.2600	0.1819	0.9150
Serum alkaline phosphate(U/l) >	r	-0.27	0.27	-0.27	0.23	-0.27	0.31
	p	0.3774	0.3774	0.3774	0.4533	0.3774	0.2997
Serum PTH(ng/ml)>	r	-0.05	0.05	-0.05	-0.18	-0.05	-0.39
	p	0.8675	0.8675	0.8675	0.5463	0.8675	0.1930
24hr urine Ca(mmol/l 24h)<	r	0.31	-0.31	-0.27	0.23	0.31	0.31
	p	0.2997	0.2997	0.3774	0.4533	0.2997	0.2997
24 hr urine phosphate(mmol/l 24h)<	r	0.10	-0.10	-0.22	-0.30	0.41	0.10
	p	0.7511	0.7511	0.4710	0.3193	0.1588	0.7511
renal phospat clearanse(ml/ min)<	r	-0.03	0.03	0.39	0.10	-0.03	-0.03
	p	0.9150	0.9150	0.1819	0.7424	0.9150	0.9150
renal phospat clearanse(ml/ min)>	r	-0.14	0.14	-0.14	0.06	-0.14	0.23
	p	0.6462	0.6462	0.6462	0.8514	0.6462	0.4591
pospat tubularuli reabsorbacia(pt r)(%)	r	-0.27	0.27	0.31	-0.37	0.31	-0.27
	p	0.3774	0.3774	0.2997	0.2199	0.2997	0.3774
kreatinine bl(mmol/l)<	r	0.23	-0.23	-0.14	-0.32	592*	-0.14
	p	0.4591	0.4591	0.6462	0.2904	0.0332	0.6462
kreatinine urine(24)(mmol/l)<	r	-0.23	0.23	-0.23	-0.06	0.14	0.14
	p	0.4591	0.4591	0.4591	0.8514	0.6462	0.6462

kreatinine urine(24)(mm oli/l)>	r	-0.31	0.31	0.27	0.37	-0.31	0.27
	p	0.2997	0.2997	0.3774	0.2199	0.2997	0.3774
1,25(OH)2D3 (nG/ml)	r	-0.39	0.39	0.617*	-0.18	0.28	-0.05
	p	0.1930	0.1930	0.0246	0.5463	0.3490	0.8675

ნაწილობრივი ადენტია დადებით სარწმუნო კორელაციას ამჟღავნებს -
1,25(OH)2D3-ის შემცირებასთან - $r=0.617$, $p=0.0246$; უარყოფით კრეტინინ
urine(24)-ის შემცირებასთან $r=-0.592$, $p=0.0332$

წინა კბილების მჭიდრო განლაგება სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს D1
25-ის ნაკლებობასთან - $r=0.617$, $p=0.0246$

ქვედა ყბის ტრაპეციისებური ფორმა - სისხლში კრეტინინ - ის შემცირებასთან
 $r=0.592$, $p=0.0332$

აღსანიშნავია თავად ანომალიებს შორის კორელაციური კავშირი D ვიტამინ
რეზისტენტული რაქიტის დროს (ცხრილი16).

ცხრილი16

ყბა-კბილთა განვითარების ანომალიათა კორელაციური მატრიცა
D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს

		გოთური თალი	ელიფსოი დური	ზედა ყბის კბილთა რკალის უნაგირ ისებრი ფორმა	ზედა ყბის წინა კბილე ბის განლაგ ება მჭიდრო	ზედა ყბის პარაბოლის ებური ფორმა	ქვედა ყბის ტრაპეციი სებური ფორმა	ქვედა ყბის წინა კბილებ ის განლაგე ბა მჭიდრო
გოთიური თალი	r	1.00	-0.38	0.38	-0.07	-0.10	-0.07	0.24
	p		0.1991	0.1991	0.8166	0.7511	0.8166	0.4334
ზედა ყბის ელიფსოიდუ რი	r	-0.38	1.00	-1.000**	-0.55	0.10	0.07	-0.24
	p	0.1991		0.0000	0.0527	0.7511	0.8166	0.4334
ზედა ყბის უნაგირისებ რი	r			1.00	0.55	-0.10	-0.07	0.24
	p				0.0527	0.7511	0.8166	0.4334
ზედა ყბის წინა კბილების განლაგება მჭიდრო	r				1.00	0.10	-0.24	-0.24
	p					0.75112	0.43343	0.4334
ზედა ყბის პარაბოლისე ბური ფორმა	r					1.00	-.854**	0.41
	p						0.0002	0.1588
ქვედა ყბის ტრაპეციისე ბური ფორმა	r						1.00	-0.24
	p							0.4334


ცხრილი16 (გაგრძელება)

		ნაწილობრივი ადენტი	ჰიპოპლაზია	თანკბილვის ანომალიები	პულპის ღრუს გაფართოება
გოთიური თალი	r	0.24	-0.05	0.28	0.28
	p	0.4334	0.8675	0.3490	0.3490
ზედა ყბის კბილთა რკალის ელიფსოიდუ- რი ფორმა	r	-0.24	-0.617*	-0.617*	-0.28
	p	0.4334	0.0246	0.0246	0.3490
ზედა ყბის კბილთა რკალის უნაგირისე - ბრი ფორმა	r	0.24	0.617*	0.617*	0.28
	p	0.4334	0.0246	0.0246	0.3490
ზედა ყბის ფრონტალურ ი კბილების მჭიდრო თანკბილვა	r	0.38	0.720**	0.720**	-0.28
	p	0.19906	0.00551	0.00551	0.34900
ქვედა ყბის პარაბოლისე- ბური ფორმა	r	-0.22	-0.16	-0.16	-0.50
	p	0.4710	0.6059	0.6059	0.0814
ქვედა ყბის ტრაპეციისმა გვარი ფორმა	r	0.07	0.05	0.05	0.39
	p	0.8166	0.8675	0.8675	0.1930
ქვედა ყბის ფრონტალურ ი კბილების მჭიდრო თანკბილვა	r	0.07	-0.28	0.05	0.05
	p	0.8166	0.3490	0.8675	0.8675
ნაწილობრივი ადენტი	r	1.00	0.05	0.39	0.39
	p		0.8675	0.1930	0.1930
ჰიპოპლაზია	r		1.00	0.639*	-0.08
	p			0.0187	0.7867
თანკბილვის ანომალიები	r			1.00	-0.08
	p				0.7867

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს:


- ზედა ყბის პარაბოლისებური ფორმა სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს ქვედა ყბის ტრაპეციისებურ ფორმასთან;
- წინა კბილების მჭიდრო განლაგება სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს ზედა ყბის კბილთა რკალის უნაგირისებრ ფორმასთან, თანკბილვის ანომალიებთან;
- თანკბილვის ანომალიები სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს ზედა ყბის კბილთა რკალის ელიფსოიდურ ფორმასთან და დადებითს - ზედა ყბის კბილთა რკალის უნაგირისებრ ფორმასთან და ზედა ყბის წინა კბილების მჭიდრო თანკბილვასთან;
- ჰიპოპლაზია სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს ზედა ყბის კბილთა რკალის ელიფსოიდურ ფორმასთან და დადებითს - თანკბილვის ანომალიებთან, ზედა ყბის კბილთა რკალის უნაგირისებრ ფორმასთან და ზედა ყბის წინა კბილების მჭიდრო თანკბილვასთან.

კორელაციები




დიაგრამა11

კორელაციები




დიაგრამა12

კორელაციები



დიაგრამა13

უარყოფითი კორელაციები



დიაგრამა 14

როგორც ვხედავთ, D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს ყბის, სასისა და კბილების განვითარების ანომალიები ურთიერთკავშირშია, რაც ადასტურებს მათ სისტემურ ხასიათს.

შემთხვევის აღწერა N 1

პაციენტი მ.ს., 9 წლის, მდედრობითი სქესის, X-თანშეჭიდული ჰიპოფოსფატემიური, D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი (სურ.1,2.). დაიბადა მესამე ორსულობისგან; ორსულობის მიმდინარეობა - ნორმალური, მშობიარობა - ფიზიოლოგიური, ძვალსახროვანი სისტემის მხრივ აღენიშნება არადაამაკმაყოფილებელი ფიზიკური განვითარება, ტანდგობის დარღვევა, ქვედა კიდურების ვალგუსური (X-ისმაგვარი) დეფორმაცია.

სტომატოლოგიური სტატუსი - მრავლობითი კარიესი. ზედა და ქვედა ყბის კბილთაშორისი დვრილების ჰიპერემია, ქვედა ყბის მარგინალური ღრძილის ჰიპერემია ფრონტალური კბილების მიდამოში. ღრძილი სუსტად სისხლმდენი. კბილების დაგვიანებული ამოჭრა, პირის ღრუს დაბალი კარიბჭე, გოთური თაღი, დისტალური

ღრმა თანკბილვა. ქვების და ნადების არსებობა.კარიესული კბილების რაოდენობა - 7, დაბჟენილი კბილების რაოდენობა - 0, ამოღებული კბილების რაოდენობა - 2, ფესვი - 2.

D.S.დეკომპენსირებული კარიესი

ქრონიკული გენერალიზებული კატარული გინგივიტი.



სურ.1. ქვედა კიდურების ვალგუსური („X“-ისმაგვარი) დეფორმაცია.პაციენტი მ.ს.


9 წ. X-თან შეჭიდული ჰიპოფოსფატემიური რაქიტი.




სურ.2.კარიესით დაზიანებული 74,75,36 კბილები. პაციენტი მ.ს. 9წ.



სურ.3.პაციენტ მ.ს.-ს ქვედა ყბის კბილთა მდგომარეობა.85 ქრონიკული მაგრანულირებელი პერიოდონტიტი ხვრელარხით.კარიესით დაზიანებული 74,75,36,46 კბილები.



სურ.4. პაციენტი მ.ს. 9 წლის.D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი. ორთოპანტომოგრამა.
შეინიშნება ზედა და ქვედა ყბების ოსტეოპოროზის ნიშნები.



სურ.5 მ.ს. -ს ოჯახის გენეალოგიური სქემა

პაციენტის დიშვილს,შ.გ.-ს, გააჩნია იგივე დაავადება.

ცხრილი17

პაციენტ მ.ს.-ის ბიოქიმიური მაჩვენებლები

	ნორმა		პაციენტის ბიოქიმიური მახასიათებლები
Serum Ca mmol/l	2.2	2.7	2.41
Serum phosphat(mmol/l)	1.05	1.8	0.24
Serum alkaline phosphate(U/l)	55	380	799
Serum PTH(ng/ml)	16	62	97
24hr urine Ca(mmol/l 24h)	2.5	7.5	0.4
24 hr urine phosphate(mmol/l 24h)	15	35	21.1
renal phosphat clearanse(ml/min)	<10		26.2
phosphat tubular reabsorbtion(ptr)(%)	>80		13
kreatinine bl(mmol/l)	35.36	53.04	26.52
kreatinine urine(24)(mmoli/l)	300.56	2024.36	330
D1 25(nG/ml)	20	70	26.6

ნორმის ფარგლებშია -საერთო კალციუმი შრატში, შრატის ფოსფატი, 24 hr urine phosphate(mmol/l 24h), D1 25(nG/ml);

მომატებულია - ტუტე ფოსფატაზა შრატში; პარათჰორმონი, renal phosphat clearanse(ml/min),შემცირებულია კალციუმის კონცენტრაცია შარდში, შრატის ფოსფატი, phosphat tubular reabsorbtion(ptr)(%), კრეატინინი სისხლის შრატსა და შარდში.

როგორც ვხედავთ, პაციენტს გააჩნია როგორც სტომატოლოგიური დაავადებები, ისე კალციუმისა და ფოსფორის მეტაბოლიზმის დარღვევები და ძვალსახსროვანი სისტემის ანომალიები.

პაციენტი შ.გ., მ.ს.-ს დიშვილი, 4 წლის, მამრობითი სქესის, დაავადებულია D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით.




სურ.5. პაციენტ შ.გ.-ს ორთოპანტომოგრამა

შემთხვევა N2

პაციენტი ა.ო., 4 წლის, მამრობითი სქესის, X-თან შეჭიდული ჰიპოფოსფატემიური, D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი.

პაციენტი ა.ო. დაიბადა პირველი ორსულობისგან, საკეისრო კვეთით, დედას ორსულობისას ჰქონდა ტოქსიკოზი.


პაციენტს აღენიშნება დამახასიათებელი სისტემური ანომალიები: არადამაკმაყოფილებელი ფიზიკური განვითარება, ძვალსახსროვანი სისტემის მხრივ - სკოლიოზი (სურ.11,12); ქვედა კიდურების ვარუსული(0-სმაგვარი) დეფორმაცია (სურ.9,10), სახსრების ჰიპერმობილურობა. კუნთთა ტონუსის გამონატული დაქვეითება(სურ.9-12)



სურ.9 პაციენტი ა.ო.- 1 წლის და 9 თვის ასაკში.


სურ.10.პაციენტი ა.ო. 4 წლის ასაკში

ქვედა კიდურების ვარუსული დეფორმაცია. D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი



სურ.11.პაციენტი ა.ო.-ს ტანდეგობა

სურ.12.ხერხემლის მალეზის რენტგენოგრაფია



სურ.13. პაციენტი ა.ო.-ს გენეალოგიური სქემა

პაციენტ ა.ო.-ს სტომატოლოგიური სტატუსი: პაციენტს აღენიშნება მრავლობითი კარიესი: ლაქოვანი კარიესი - 5, მინანქრის კარიესი-2, დენტინის კარიესი-3, ექსტრარგირებული კბილი-1. ქრონიკული მაგრანულირებელი პერიოდონტიტი ხვრელარხით - 3 (სურ.14-20). პაციენტს აღენიშნება კბილების ფერის ცვლილება; პირის ღრუს დაბალი კარიბჭე. ზედა და ქვედა ყბის კბილთა განლაგებაში აღინიშნება ტრემები. კბილები ამოეჭრა და გვიანებით .



სურ.14. კარიესით დაზიანებული 74, 75, 84, 85 კბილები. პაციენტი ა.ო., 3 წლის და 4 თვის. D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი.



სურ.15. ხვრელარხები 71, 72 მიდამოში. პაციენტი ა.ო. 3 წლის და 10 თვის ასაკში. D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი.



სურ. 16. პაციენტი ა.ო.-ს სტომატოლოგიური სტატუსი 3 წლის და 10 თვის ასაკში. D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი.




სურ. 17. ა.ო.-ს 51,62 ვიზიოგრამა.
51 ფესვის ნაადრევი რეზორბცია




სურ.18. ა.ო.-ს 71,81 ვიზიოგრამა.
კისტა 71 მიდამოში.

ფართე ფესვის არხები; გაფართოებული პულპური ღრუ აღწევს მინანქარ-დენტინის საზღვარს. პაციენტი ა.ო. 3 წლის და 6 თვის ასაკში. D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი.



სურ.19.ა.ო.-ს ორთოპანტომოგრამა 3 წლის და 4 თვის ასაკში



სურ.20.პაციენტი ა.ო. ორთოპანტომოგრამა 1 წლის და 3 თვის შემდეგ

პაციენტი ა.ო.-ს ბიოქიმიური მახასიათებლები მოცემულია მე-18 ცხრილში

ცხრილი18

პაციენტი ა.ო.-ს ბიოქიმიური მაჩვენებლები

	ნორმა		პაციენტის ბიოქიმიური მახასიათებლები
Serum Ca mmol/l	2.2	2.7	2.31
Serum phosphate(mmol/l)	1.05	1.8	0.87
Serum alkaline phosphate(U/l)	55	380	620
Serum PTH(ng/ml)	16	62	61
24hr urine Ca(mmol/l 24h)	2.5	7.5	0.1
24 hr urine phosphate(mmol/l 24h)	15	35	22.6
renal phosphat clearanse(ml/min)	<10		7.21
phosphat tubular reabsorbtion(ptr)(%)	>80		10
kreatinine bl(mmol/l)	35.36	53.04	24.752
kreatinine urine(24)(mmoli/l)	300.56	2024.36	192
D1 25(nG/ml)	20	70	23.1

ნორმის ფარგლებშია - საერთო კალციუმი შრატში, შრატის ფოსფატი, პარატჰორმონი, 24 hr urine phosphate(mmol/l 24h), renal phosphat clearanse(ml/min), D1 25(nG/ml); ტუტე ფოსფატაზა შრატში მომატებულია; შემცირებულია კალციუმის კონცენტრაცია შარდში, phosphat tubular reabsorbtion(ptr)(%), კრეატინინი სისხლის შრატსა და შარდში.

ამრიგად, პაციენტ ა.ო.-ს აქვს მკვეთრად გამოხატული D ვიტამინ - რეზისტენტული რაქიტისთვის დამახასიათებელი ბიოქიმიური და კლინიკური ნიშნები, რომელიც აისახება სტომატოლოგიურ სტატუსზე: პაციენტს გააჩნია

კბილების კარიესული და არაკარიესული დაზიანებები, ინტაქტური კბილების ქრონიკული მაგრანულირებელი პერიოდონტიტისა და პაროდონტის დაზიანების ნიშნები, პერიპიკალური აბსცესები. კბილთა ფესვის არხები, ასევე პულპური ღრუ მნიშვნელოვნადაა გაფართოებული და აღწევს მინანქარ-დენტინის საზღვარს. შეინიშნება სარძევე კბილების ნაადრევი გაწოვა. მუდმივი კბილების ფოლიკულები მინერალიზაციით ჩამორჩება ასაკობრივ ნორმას. პაციენტის დედა - ქ. ს., დაავადებულია იმავე დაავადებით.



სურ. 6.7. პაციენტი ქ.ს.-ს სტომატოლოგიური სტატუსი, 35 წლის.

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი



სურ. 8. პაციენტ ქ.ს.-ს ორთოპანტომოგრამა

დედა - ქ.ს., 35 წლის, სიმაღლე 143 სმ; ძვალსახროვანი სისტემის მხრივ აღენიშნება ოსტეოპოროზი, ტანდევობის დარღვევა. პაციენტს ქვედა კიდურებზე ჩატარებული აქვს 3 ოპერაცია.

სტომატოლოგიური სტატუსი - კბილის მაგარი ქსოვილების მნიშვნელოვანი დაზიანება. კარიესული კბილების რაოდენობა - 2, დაბჟენილი კბილების რაოდენობა - 4, ამოღებული კბილების რაოდენობა - 5, ფესვი - 8. ქრონიკული აპიკალური პერიოდონტიტი - 1, აპიკალური გრანულომა - 2, პერიაპიკალური აბსცესი ხვრელარხით - 1, პერიაპიკალური აბსცესი ხვრელარხის გარეშე - 4, ფესვის კისტა - 1. გოთური თაღი, ზედა ყბის კბილთა რკალის უნაგირისებური ფორმა, ქვედა ყბის კბილთა რკალის ტრაპეციისმაგვარი ფორმა, მინანქრის ჰიპოპლაზია, ჰიპერესთეზია, კბილების ფერის ცვლილება, ლაქები. ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტი.

ფრიად საინტერესოა რაქიტით დაავადებულ სხვა პაციენტთა სურათებიც:



სურ.21-22 . პაციენტი ს.ხ.9 წლის. D ვიტამინდამოკიდებული რაქიტი .




სურ.
რ.2
3 -
24
.პაც
იენ
ტი
მ.დ
.8
წლ




ის. D ვიტამინდამოკიდებული რაქიტი .



სურ.26. პაციენტი ა.მ. 3 წლის 4 თვის. სარძევე კბილების ცირკულარული კარიესი.
D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი.



სურ. 27. პაციენტი უ.ა.7 წლის. D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი.
ორთოპანტომოგრამა.



სურ.28.პაციენტი ა.მ. 3 წლის 4 თვის. 74-75 კრონიკული პულპიტი.
D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი.

თავი IV

განხილვა

რაქიტი არის ბიოქიმიური, მორფოლოგიური, რენტგენოლოგიური და კლინიკური ნიშნების სიმპტომოკომპლექსი, რომლებიც შეიძლება განპირობებული იყოს მთელი რიგი ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორებით.

მიუხედავად იმისა, რომ რაქიტი ბავშვებში კარგად არის შესწავლილი, მწირია მონაცემები ყბა-კბილთა სისტემის ანომალიებსა და სტომატოლოგიურ დაავადებებზე რაქიტის დროს.

ჩვენი კვლევის მიზანია სტომატოლოგიური მახასიათებლების შესწავლა D ვიტამინრეზისტენტული და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს.

განასხვავებენ რაქიტის რამდენიმე ფორმას:

1. D ვიტამინდეფიციტური – “კლასიკური”

2. D ვიტამინდამოკიდებული:

D ვიტამინდამოკიდებული - ტიპი I – ალფა - ჰიდროქსილაზის დეფიციტით განპირობებული (ენზიმი, რომელიც D ვიტამინს ააქტიურებს).

D ვიტამინდამოკიდებული - ტიპი II - D ვიტამინრეცეპტორების (VDR) თანდაყოლილი დეფექტი

3. D ვიტამინრეზისტენტული - X-თან შეჭიდული დომინანტური გადაცემის ტიპით, განპირობებულია თირკმლის ტუბულარული აპარატის პათოლოგიით, წვრილ ნაწლავში კალციუმის და ფოსფორის აბსორბციის დარღვევით, მიეკუთვნება მემკვიდრული ტუბულოპათიის ჯგუფს.

მემკვიდრული რაქიტისმაგვარი დაავადების დროს საკმაოდ ხშირია სტომატოლოგიური დარღვევები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში არ დიაგნოსტირდება ან გამოვლინდება გვიან [4,33,70].

მიუხედავად იმისა, რომ დამტკიცებულია რაქიტისმაგვარი დაავადებების უარყოფითი მოქმედება ძვლოვან სისტემაზე, არ არსებობს ყბის ძვლების და კბილების მდგომარეობის შეფასების ღრმა ანალიზი, რისი შედეგიცაა ყბა-

კბილთა სისტემის დარღვევების ზრდა. რაქიტი და რაქიტისმაგვარი დაავადებები განაპირობებს მრავლობითი კარიესის, პაროდონტის დაავადებების და სხვა სტომატოლოგიური პრობლემების განვითარებას [87].

ჩვენი კვლევის მიზანია სტომატოლოგიური მახასიათებლების შესწავლა D ვიტამინრეზისტენტული და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს.

D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს და საკონტროლო ჯგუფში ასაკობრივი განაწილება თითქმის ერთნაირია; ჯგუფები ერთგვაროვანი იყო სქესისა და ასაკის მიხედვით. D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებული პაციენტის ჯგუფში - 0-5 წლის ასაკის 4, 6-12 წლის 5 და 13-18 – 4. ხოლო D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებული პაციენტის ჯგუფში - მდედრობითი - 40 (59%). 0-5 წლის ასაკის 30, 6-12 წლის 26 და 13-18 – 12, საკონტროლო ჯგუფში - მდედრობითი - 35 (57%). 0-5 წლის ასაკის 20, 6-12 წლის 21 და 13-18 – 20.

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს ჭარბობს 0–5 წლის პაციენტები. D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს პაციენტთა 92%-ს აღენიშნებოდა ჩამორჩენა ფიზიკურ განვითარებაში, ჩამორჩენა დაფიქსირდა D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროსაც - 49%, ხოლო საკონტროლო ჯგუფში უმნიშვნელო იყო.

ლიტერატურის მიხედვით D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის მქონე პაციენტებს აღენიშნებათ ფოსფორის დაბალი შემცველობა, პარათირეოიდული ჰორმონის ნორმალური დონე, კალციუმის დონე სისხლში ნორმაშია ან ნორმაზე დაბალი. სტომატოლოგიური კუთხით - მინანქრის ჰიპოპლაზია, სტომატოლოგიური აბსცესი და გინგივიტი, კარიესი და კბილების დაგვიანებული ამოსვლა [1,2].

ჩვენი მონაცემებით, რეზისტენტული რაქიტის დროს პაციენტებში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით მომატებულია Serum alkaline phosphate(U/l) (შესაბამისად, 1051.46; 300; $t= 3.97$, $p=0.0019$), Serum PTH(ng/ml) (შესაბამისად, 62.31; 39; $t= 7.10$, $p= 0.0000$), renal phosphat clearance(ml/min) (შესაბამისად, 16.70; 10; $t= 3.49$,

p= 0.0045), და შემცირებულია 24hr urine Ca(mmol/l 24h) (შესაბამისად, 0.86;5; t= 24.47, p= 0.0000), 24 hr urine phosphate(mmol/l 24h), (შესაბამისად, 17.15; 25; t=4.20, p= 0.012), pospat tubular reabsorbcion(ptr)(%) (შესაბამისად,27.85; 55; t= 4.90, p= 0.0004), kreatinine bl(mmol/l) (შესაბამისად,29.21; 44; t=9.48, p=0.0000), 1,25(OH)2D3 (nG/ml) (შესაბამისად,25.58;45; t=6.24, p= 0.0000) საშუალო მნიშვნელობა.

კალციუმისა და ფოსფორის შეფარდების სხვაობა განაპირობებს ძვლების არასწორ მინერალიზაციას, არღვევს მის ზრდასა და სიმტკიცეს, [86,64,36,5,29,109].

ჩონჩხის მხრივ ვითარდება მკაფიო ცვლილებები, გვიანდება კბილების ამოჭრა, ირღვევა მისი თანმიმდევრობა, არცთუ იშვიათად ყბებს შორის შეთანასოვნება, თანკბილვა. გულმკერდი დეფორმაციას განიცდის, ნეკნებზე ირიბად შემსხვილებებია, ლავიწები რამდენადმე დეფორმირებულია, მაჯის არეები და ფალანგები ზოგჯერ შემსხვილებული. ქვედა კიდურების O-სებრი(გარეთ გაზნეკილი) ან X-სებრი (მუხლის არეში შიგ შედრეკილი და ურთიერთმიახლოებული) დეფორმაცია ვლინდება მას შემდეგ, რაც ბავშვი სიარულს იწყებს[45]. ჩვენ მიერ გამოკვლეულ პაციენტებში D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ ბავშვებში D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებულ ბავშვებთან და კონტროლთან შედარებით სარწმუნოდ მეტია ბავშვის არადამაკმაყოფილებელი ფიზიკური განვითარება.

ლიტერატურაში აღნიშნავენ თანკბილვის ანომალიების მაღალ სიხშირეს D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ ბავშვებში. ამ პათოლოგიის მქონე პაციენტებს აღნიშნებათ მაღალი სასა[129].

ჩვენი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ ბავშვებში D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებულ ბავშვებთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით სარწმუნოდ მეტია ბავშვის არადამაკმაყოფილებელი ფიზიკური განვითარება (შესაბამისად, 0.92; 0.49; 0.03; F= 9.23, p=0.0032; F= 214, p=0.0000), პირის ღრუს დაბალი კარიბჭე (შესაბამისად,0.46; 0.12;0.13; F=9.91, p=0.0023; F=8.27, p=0.0053), ზედა ყბის კბილთა რკალის უნაგირისებრი ფორმა (შესაბამისად,0.46; 0.21; 0.13; F= 3.93, p =0.0510; F= 8.27, p=0.0053),. ზედა ყბის ფრონტალური კბილების მჭიდრო განლაგება

(შესაბამისად, 0.54; 0.24; 0.26; F= 5.12, p=0.0263; F=3.91, p=0.0517), ქვედა ყბის ფრონტალურ კბილებთან ტრემები (შესაბამისად, 0.31;0.01;0.07; F= 19.71, p=0.0000; F= 6.95, p=0.0103), ქვედა ყბის ტრაპეციისმაგვარი ფორმა (შესაბამისად, 0.54; 0.18; 0.18; F= 8.62, p=0.0044; F= 8.08, p=0.0058), ქვედა ყბის ფრონტალური კბილების მჭიდრო განლაგება (შესაბამისად, 0.54; 0.21; 0.16; F=6.65, p=0.0118; F=9.34, p=0.0031), დისტალური თანკბილვა (შესაბამისად, 0.31; 0.07; 0.07; F=6.39, p=0.0135; F=6.95, p=0.0103), ნაწილობრივი ადენტია (შესაბამისად, 0.54; 0.01; 0.03; F=56.10, p=0.0000; F=38.20, p=0.0000), კბილების დაგვიანებული ამოჭრა (შესაბამისად, 0.69; 0.38; 0.28; F=4.40, p=0.0392; F= 8.78, p=0.0041), მინანქრის ჰიპოპლაზია (შესაბამისად, 0.69; 0.13 ;0.07; F=25.00 ,p=0.0000; F= 44.60, p=0.0000).

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ ბავშვებში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით სარწმუნოდ მეტია ღია (შესაბამისად, 0.480; 0.08; F= 6.39, p=0.0135) და ღრმა (შესაბამისად, 0.506; 0.08; F=10.82, p=0.0015) თანკბილვა, ხოლო D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ ბავშვებსა და D ვიტამინ-დამოკიდებული რაქიტით დაავადებულ ბავშვებს შორის ამ მონაცემების მიხედვით სარწმუნო განსხვავება არ აღინიშნა (შესაბამისად,0.480 ; 0.15;F= 1.43, p=0.2353 და 0.506; 0.15; F= 3.29,p=0. 0741).

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ ბავშვებში D ვიტამინ-დამოკიდებული რაქიტით დაავადებულ ბავშვებთან შედარებით მაღალი სიხშირით გამოირჩევა დგომის ანომალიები (შესაბამისად, 0.48; 0.01; F=19.71, p=0.0000), საკონტროლო ჯგუფში ეს ფაქტორი არ აღმოჩნდა.

მხოლოდ D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ პაციენტებს აღინიშნათ: მიკროდენტია (0.15 ± 0.376) და კბილის მაგარი ქსოვილების განლევა(0.15 ± 0.376).

ლიტერატურის მიხედვით, კარიესის გავრცელება მაღალია როგორც D ვიტამინრეზისტენტული, ისე D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებულებში. ამასთან,ასაკის მატებასთან ერთად დაზიანებული კბილების რაოდენობა იზრდება [3]. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ სარძევე კბილების კარიესის სიხშირე სარწმუნოდ მეტია D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს D ვიტამინ-

დამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (შესაბამისად, 0.62; 0.22; 0.13; $F= 9.10$, $p =0.0034$; $F= 18.04$, $p=0.0001$), ხოლო D ვიტამინ-დამოკიდებულ რაქიტის დროს სარწმუნოდ არ განსხვავდება საკონტროლო ჯგუფთან შედარებით(შესაბამისად 0.22; 0.13; $F= 1.75$, $p =0.1880$), რაც შეეხება მუდმივი კბილების კარიესს, მისი სიხშირე არასარწმუნოდ მეტია D ვიტამინ-რეზისტენტული რაქიტის დროს D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (შესაბამისად,0.54;0.43;0.33; $F=0.54$, $p=0.4628$; $F= 2.05$, $p=0.1563$), სარძევე კბილების დაზიანების მიზეზს ხსნიან იმით,რომ ერთი მხრივ,კბილების ჩასახვა ხდება სიცოცხლის პირველ თვეებში, როდესაც რაქიტი აქტიურ ფაზაშია, მეორე მხრივ, ყბის ძვლების დეფორმაციის (პარაბოლური ფორმის ნაცვლად ღებულობს ტრაპეციის ფორმას) გამო თანკბილვის დარღვევით. [129,169].

დეკომპენსირებული კარიესის სიხშირე სარწმუნოდ მეტია D ვიტამინ-რეზისტენტული რაქიტის დროს D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით(შესაბამისად,0.62; 0.24; 0.20; $F=8.13$, $p=0.0055$; $F= 10.64$, $p=0.0017$), და ასევე მეტია D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტის დროს საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (შესაბამისად,0.24; 0.20; $F=0.28$, $p=0.5991$).

ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, ძირითადი სტომატოლოგიური დეფექტები მომატებულია D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის შემთხვევაში.იგი უპირატესად მიმდინარეობს დენტინში, მინანქარი ნორმალურია, ღრძილისა და კბილის მრავლობითი აბსცესი ტრავმისა და კარიესის გარეშე ვითარდება, გადიდებულია პულპური ღრუ, რომლის ზომები სცილდება დენტინ-მინანქრის საზღვარს.ეს კი წარმოადგენს კონსერვატიული ენდოდონტური მკურნალობის დაწყების წინაპირობას [67, 150, 140].

ჩვენი მონაცემებით, დენტინის კარიესის სიხშირე სარწმუნოდ მეტია D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (შესაბამისად, 0.77; 0.47; 0.18; $F=3.99$, $p= 0.0491$; $F= 23.63$, $p= 0.0000$), და ასევე მეტია D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტის დროს საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (შესაბამისად, 0.47 ; 0.18 ; $F= 13.25$, $p= 0.0004$).

ცემენტის კარიესის სიხშირე D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს სარწმუნოდ მეტია საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (შესაბამისად 0.23; 0.03; $F=7.13, p=0.0094$), ხოლო D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს ცემენტის კარიესი არ დაფიქსირდა.

მინანქრის კარიესის სიხშირე სარწმუნოდ არ განსხვავდება ჯგუფების მიხედვით (შესაბამისად, 0.38; 0.46; 0.43; $F=0.13, p=0.7204$; $F=0.07, p=0.7860$).

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ ბავშვებს შორის D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან შედარებით სარწმუნოდ მაღალია კბა ინდექსის მნიშვნელობა [149]. ჩვენი მონაცემებით, კარიესული კბილების საშუალო რაოდენობა სარწმუნოდ მეტია რეზისტენტული რაქიტის დროს D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (შესაბამისად, 4.54; 2.60; 0.62; $t=2.113, p=0.038$; $t=8.72, p=0.000$), და ასევე მეტია კბა ინდექსის საშუალო მნიშვნელობა D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (შესაბამისად, 8.31; 3.40; 1.26; $t=3.90, p=0.000$; $t=8.310, p=0.000$). D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს კარიესული კბილების საშუალო რაოდენობა სარწმუნოდ მეტია საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (შესაბამისად, 2.60; 0.62; $t=4.953, p=0.000$) და ასევე მეტია კბა ინდექსის საშუალო მნიშვნელობა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (შესაბამისად, 3.40; 1.26; $t=4.206, p=0.000$).

დაბჟენილი კბილების საშუალო რაოდენობა სარწმუნოდ მეტია D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (საკონტროლო ჯგუფთან, შესაბამისად, 1.38; 0.35; 0.30; $t=3.769, p=0.000$; $t=4.053, p=0.000$), და ასევე სარწმუნოდ მეტია ამოღებული კბილების საშუალო რაოდენობა D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (შესაბამისად, 2.38; 0.44; 0.34; $t=5.396, p=0.000$; $t=7.038, p=0.000$), ხოლო D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს სარწმუნოდ არ განსხვავდება საკონტროლო ჯგუფთან შედარებით როგორც დაბჟენილი კბილების (შესაბამისად, 0.35; 0.30; $t=0.548, p=0.585$), ისე ამოღებული კბილების საშუალო რაოდენობა (შესაბამისად, 0.44; 0.34; $t=0.653, p=0.515$).

კარიესის განვითარების ფარდობითი შანსი D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს სარწმუნოდ მაღალია, ვიდრე D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის მქონე პაციენტებში, შესაბამისად $OR= 10.05$ ($95\%CI=1.24-105.39$) და საკონტროლო ჯგუფთან $OR= 17.28$ ($95\%CI= 2.11- 114.44$), ასევე კბილების დაკარგვის ფარდობითი შანსი D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს სარწმუნოდ მაღალია, ვიდრე D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის მქონე პაციენტებში $OR=11.78$ ($95\%CI=2.87 -81.69$) და საკონტროლო ჯგუფთან $OR= 9.38$ ($95\%CI= 2.29- 68.88$), ხოლო D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს კარიესის განვითარების ფარდობითი შანსი საკონტროლო ჯგუფთან შედარებით $OR= 1.72$ ($95\%CI= 0.85- 11.64$) და კბილების დაკარგვის ფარდობითი შანსი, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით $OR=0.80$ ($95\%CI=0.35-6.36$), მომატებულია არასარწმუნოდ.

ამრიგად, D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს სარწმუნოდ მაღალია კარიესის მძიმე ფორმების სიხშირე, კბა ინდექსი და კარიესის განვითარების და კბილების დაკარგვის ფარდობითი შანსი როგორც D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან, ისე საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

აზრთა სხვადასხვაობაა D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს პაროდონტის ანთებითი დაავადებების არსებობის შესახებ. ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს ასოციაციებს D ვიტამინრეზისტენტულ რაქიტსა და პაროდონტიტს შორის [91,95,130], მაშინ როდესაც ზოგიერთი კვლევის შედეგად D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ პაციენტებს შორის პაროდონტის ანთებითი დაავადები არ გამოვლინდა[99].

ლიტრატურის მიხედვით, D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის მქონე ბავშვთა 10%-ს აღნიშნება აბსცესი და გინგივიტი[48], სხვა მონაცემებით - 25-75% -ს [70,143]. ჩვენს მასალაზე სხვადასხვა სიმძიმის გინგივიტი გამოუვლინდა D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ პაციენტთა 69,2%-ს.

პაროდონტის ანთებითი დაავადებების შესწავლამ D ვიტამინრეზისტენტული და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის და საკონტროლო ჯგუფებში გვიჩვენა, რომ სამივე ჯგუფში დაფიქსირდა მსუბუქი და საშუალო სიმძიმის გინგივიტები, მათგან მწვავე მიმდინარეობა მხოლოდ D ვიტამინ-

რეზისტენტული რაქიტის ჯგუფში, ამ ჯგუფში D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და შედარებით სარწმუნოდ მეტი იყო ქრონიკული (შესაბამისად, 0.38; 0.15; 0.15; F= 4.19, p= 0.0439; F=4.03, p=0.0483), ლოკალური (შესაბამისად, 0.38; 0.06; 0.13; F= 13.38, p=0.0005; F=4.94, p=0.0293) და გენერალიზებული გინგივიტის (შესაბამისად, 0.31; 0.10; 0.07; F= 3.99, p=0.0491; F=6.95, p=0.0103) სიხშირე.

გინგივიტის კატარული ფორმა სარწმუნოდ მაღალი იყო D ვიტამინ-რეზისტენტული რაქიტის ჯგუფში D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (შესაბამისად, 0.46; 0.07; 0.07; F= 16.51, p= 0.0001; F= 17.36, p= 0.0001).

ასევე სამივე ჯგუფში დაფიქსირდა მსუბუქი ფორმის პაროდონტიტი ქრონიკული მიმდინარეობით, რომლის სიხშირე სარწმუნოდ მაღალი იყო D ვიტამინ-რეზისტენტული რაქიტის ჯგუფში D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (შესაბამისად, 0.15; 0.01; 0.02; F=6.23, p= 0.0146; F= 5.45, p= 0.0224) .

პაროდონტოზის საშუალო და მძიმე ფორმების ერთეული შემთხვევა გამოვლინდა, შესაბამისად D ვიტამინ-რეზისტენტული და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის ჯგუფში.

საკონტროლო ჯგუფში არ გამოვლინდა გინგივიტის მწვავე ფორმა, პაროდონტიტის საშუალო და მძიმე ფორმა და პაროდონტოზი.

რაქიტისა და რაქიტის მსგავსი დაავადებების დროს მნიშვნელოვნად ზიანდება პერიოდონტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია პერიაპიკალური ხვრელარხების არსებობა[3].

დენტინის მინერალიზაციის დარღვევა იწვევს სპონტანური აბსცესების წარმოქმნას, რომლებიც არ არიან დაკავშირებული კარიესთან ან ტრავმასთან [113,112]

ჩვენი მონაცემებით, D ვიტამინ-რეზისტენტული რაქიტის დროს D ვიტამინ-დამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით სარწმუნოდ მეტია: მწვავე აპიკალური პერიოდონტიტის სიხშირე (შესაბამისად, 0.23; 0.01; 0.03; F=12.22, p= 0.0008; F= 7.13, p= 0.0094), აპიკალური გრანულომის (შესაბამისად, 0.46;

0.12; 0.16; $F= 9.91, p=0.0023$; $F=5.90, p=0.0177$), პერიაპიკალური აბსცესი ხვრელარხით (შესაბამისად, 0.31; 0.06; 0.10; $F=8.17, p=0.0054$; $F= 4.13, p=0.0457$) და პერიაპიკალური აბსცესი ხვრელარხის გარეშე სიხშირე (შესაბამისად, 0.31; 0.03; 0.07; $F= 14.17, p= 0.0003$; $F= 6.95, p= 0.0103$) .

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან შედარებით სარწმუნოდ მეტია: ქრონიკული აპიკალური პერიოდონტიტის (შესაბამისად, 0.23; 0.03; $F=8.23; p= 0.0053$), და ფესვის კისტის სიხშირეები (შესაბამისად, 0.31; 0.01; $F= 19.71; p= 0.0000$) საკონტროლო ჯგუფში ეს ფაქტორები არ დაფიქსირდა.

ბიოქიმიურ მაჩვენებლებსა და სტომატოლოგიურ მახასიათებლებს შორის ურთიერთკავშირის დასადგენად ჩატარებულმა კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ნაწილობრივი ადენტია დადებით სარწმუნო კორელაციას ამჟღავნებს - 1,25(OH)2D3-ის შემცირებასთან - $r=0.617, p=0.0246$; უარყოფით კრეტინინურ (24)-ის შემცირებასთან $r=-0.592, p=0.0332$;

ფრონტალური კბილების მჭიდრო განლაგება სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს D1 25-ის ნაკლებობასთან - $r=0.617, p=0.0246$;

ქვედა ყბის ტრაპეციისებური ფორმა - სისხლში კრეტინინ -ის შემცირებასთან $r=0.592, p=0.0332$.

რაოდენობრივი მაჩვენებლები - კბა ინდექსი და PMA ინდექსი დაკავშირებულია საშუალო ბიოქიმიურ მაჩვენებლებთან: $postpat-tubularuli reabsorbion(ptr)(\%)$ სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს KPU ინდექსთან - $r=0.57$ და $p= 0.0380$, PMA ინდექსთან - $r=0.84, p=0.0003$.

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს:

- ზედა ყბის პარაბოლისებური ფორმა სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს ქვედა ყბის ტრაპეციისებურ ფორმასთან ;
- წინა კბილების მჭიდრო განლაგება სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს ზედა ყბის კბილთა რკალის უნაგირისებრ ფორმასთან, თანკბილვის ანომალიებთან;

- თანკბილვის ანომალიები სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს ზედა ყბის კბილთა რკალის ელიფსოიდურ ფორმასთან და დადებითს - ზედა ყბის კბილთა რკალის უნაგირისებრ ფორმასთან და ზედა ყბის წინა კბილების მჭიდრო თანკბილვასთან;
- ჰიპოპლაზია სარწმუნო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს ზედა ყბის კბილთა რკალის ელიფსოიდურ ფორმასთან და დადებითს თანკბილვის ანომალიებთან, ზედა ყბის კბილთა რკალის უნაგირისებრ ფორმასთან და ზედა ყბის წინა კბილების მჭიდრო თანკბილვასთან;

როგორც ვხედავთ, D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს ყბის, სასისა და კბილების განვითარების ანომალიები ურთიერთკავშირშია, რაც ადასტურებს მათ სისტემურ ხასიათს.

ამრიგად, ჩვენ მიერ ჩატარებულმა სტომატოლოგიური სტატუსის კომპლექსურმა შესწავლამ აჩვენა, რომ ძვლის მეტაბოლიზმის დარღვევით მიმდინარე დაავადებების დროს ზიანდება როგორც კბილის მაგარი ქსოვილები კარიესისა და მინანქრის ჰიპოპლაზიის სახით, ასევე პაროდონტის კომპლექსი და პერიოდონტი, ყბის ფორმირება და თანკბილვაირღვევა, რაც კორელაციაშია ფოსფორისა და კალციუმის ბიოქიმიური მახასიათებლების ცვლილებებთან.

დასკვნები:

1. D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი ბავშვებში, D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, ზრდის არადამაკმაყოფილებელი ფიზიკური განვითარების, პირის ღრუს დაბალი კარიბჭის, ზედა ყბის კბილთა უნაგირისებური რკალის ფორმის, ზედა ყბის წინა კბილების მჭიდრო განლაგების, ქვედა ყბის ტრაპეციისმაგვარი ფორმის, ქვედა ყბის წინა კბილების მჭიდრო განლაგების, ნაწილობრივი ადენტის, კბილების დაგვიანებული ამოჭრის, მინანქრის ჰიპოპლაზიის ფარდობით შანსს. D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ ბავშვებში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით სარწმუნოდ მეტია ღია, დისტალური და ღრმა თანკბილვის ჩამოყალიბების ფარდობითი შანსი. D ვიტამინ - რეზისტენტული რაქიტით დაავადებულ ბავშვებში D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან შედარებით სარწმუნოდ ზრდის კბილის დგომის ანომალიების განვითარების ფარდობით შანსს.
2. D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს სარწმუნოდ მაღალია კარიესის მძიმე ფორმების სიხშირე, კბა ინდექსი და კარიესის განვითარების და კბილების დაკარგვის ფარდობითი შანსი როგორც D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან, ისე საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.
3. D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს იმატებს პაროდონტის ანთებითი დაავადებების სიხშირე D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, PMA ინდექსის საშუალო მნიშვნელობა ბავშვებში რეზისტენტული რაქიტის დროს სარწმუნოდ მეტია, ვიდრე D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს და საკონტროლო ჯგუფში, ხოლო საკონტროლო ჯგუფსა და D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტს შორის სარწმუნო სხვაობა არ დაფიქსირდა.
4. D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის შემთხვევაში, D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან და საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, სარწმუნოდ ხშირად გვხვდება ფესვის არხებისა და პულპური ღრუს გაფართოება, რომელიც ხშირად აღწევს მინანქარ-დენტინის საზღვარს, ასევე კბილის მაგარი

ქსოვილების თხელი ფენა.მწვავე და ქრონიკული აპიკალური პერიოდონტიტი, აპიკალური გრანულომა, პერიაპიკალური აბსცესები როგორც ხვრელარხით, ისე ხვრელარხის გარეშე, ფესვის კისტა.

5. D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს სტომატოლოგიური ანომალიები კორელაციაშია ნივთიერებათა ცვლის დარღვევასთან: ნაწილობრივი ადენტია დადებით სარწმუნო კორელაციას ამჟღავნებს - 1,25(OH)2D3-ის შემცირებასთან; უარყოფითს შარდში კრეატინინის (24 - საათიანი) შემცირებასთან. წინა კბილების მჭიდრო განლაგება სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს 1,25(OH)2D3-ის ნაკლებობასთან. ქვედა ყბის ტრაპეციისებური ფორმა - სისხლის შრატში კრეატინინის შემცირებასთან. რადენობრივი მაჩვენებლების- KPU ინდექსის და PMA ინდექსის კორელაციურმა ანალიზმა საშუალო ბიოქიმიურ მაჩვენებლებთან გვიჩვენა, რომ postpat tubularuli reabsorbion(ptr)(%) სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს KPU ინდექსთან - $r=0.57$ და $p= 0.0380$, PMA ინდექსთან - $r=0.84$, $p=0.0003$.
6. D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს თანკბილვის ანომალიებს შორის გამოვლინდა კორელაციური კავშირი.

პრაქტიკული რეკომენდაციები:

1. ძვლის მეტაბოლიზმის დარღვევით მიმდინარე დაავადებების დროს აუცილებელია პაციენტის სტომატოლოგიური სტატუსის შეფასება, რაც ადრეული მკურნალობის და გართულებების თავიდან აცილების საფუძველს წარმოადგენს.

2.ადრეულ ასაკში აღმოჩენილი კბილებისა და თანკბილვის ანომალიები, ასევე პერიაპიკალური ხვრელარხები, რომელიც ჩნდება ინტაქტური კბილების ფესვთა მწვერვალების საპროექციო მიდამოში კარიესული ან არაკარიესული პროცესის მიმდინარეობის, აგრეთვე ტრავმული დაზიანების არსებობის გარეშე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დაავადების ერთ-ერთი სადიაგნოსტიკო კრიტერიუმი.

3.D ვიტამინრეზისტენტული და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებული ბავშვები დიაგნოზის დასმისთანავე უნდა იმყოფებოდნენ დისპანსერულ აღრიცხვაზე ბავშვთა ასაკის სტომატოლოგთან, რომელმაც უნდა განახორციელოს მათი ყბა-კბილთა სისტემის პერიოდული გამოკვლევა და შეფასება წლის განმავლობაში 3-4 ჯერ, რენტგენოლოგიური კვლევები უნდა ჩატარდეს 1 წელში ერთხელ.

4. ექიმ - სტომატოლოგების ჯგუფში, რომლებიც ახორციელებენ მემკვიდრეობითი რაქიტისმაგვარი დაავადებების მქონე პაციენტთა რეაბილიტაციას, ჩართული უნდა იყვნენ ექიმ - ორთოდონტი და ექიმ - პაროდონტოლოგი.

5.რაქიტისმაგვარი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობა უნდა იყოს კომპლექსური: ექიმ-სტომატოლოგის მიერ ჩატარებული მკურნალობა უნდა მიმდინარეობდეს ექიმ-პედიატრის მიერ წარმოებული მეტაბოლური დარღვევების კორექციის ფონზე.

6.ყოველგვარი სამკურნალო ღონისძიებები, რომლებიც ჩატარდება რაქიტისმაგვარი დაავადებების მქონე პაციენტთათვის, მიმართული უნდა იყოს სტომატოლოგიური დარღვევების ნაადრევი პროფილაქტიკისკენ.

ლიტერატურა

